№ 187

ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

№ 187

ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა

ქართველ ამხანაგებს!

№ 3 ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 3

ხუთშაბათს, 13 ოქტომბერს,

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:

I

მამა

ტრაგედია 3 მოქმ, ა. სტრინდბერგისა, თარგ. თ. ხუსკივაძის მიერ.

II

ბებრის საღეროლელი

ვოდევილი 1 მოქ. მ. ზურეევიჩისა, თარგ. დ. აჭყურელის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგა-რეთელი, მ. მდივანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ზ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, ვ. ურუშაძე.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე

ადგილების ფასი: ლოჟები 2 მ.-დან 10-მდე, ბალკონი 60 კ.-დან 75 კ.-მდე, ამფითეატრი 1 მ. გალერეა 25 კ.-დან 35.-მდე.

მოსწავლეთათვის ადგილები 40 კაპ.

რეჟისორი ვალ. გუნია.

მზადდება წარმოსადგენად „სულით ობოლი", „შიო თავადი", „მარუჩა"—„კოხში" და სხ.

თეტრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს:

1) ყველანი ისხდნენ მხოლოდ თავთავიანთ ადგილებზე, რაიც აღნიშნულია ხოლმე ბილეთებზე, რათა მით დამყარდეს სასურველი და საჭირო წესრიგიანობა,

2) პიესის წარმოდგენის დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო დროს მოქმედების შეწყვეტა შთაბეჭდილების მთლიანობას აფუჭებს და მსახიობთაც აღკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკვრელათ

3) მეორე ზარის შემდეგ ყველანი დასხდნენ თავთავიანთ ადგილას და ამით ხელი შეუწყონ ანტრაქტების შემცირებას და ამავე დროს მოერიდნენ სხვა მაყურებელთა შეწუხებას უდროვო დროს ადგილების ძებნით.

რეჟისორი ვ. გუნია

ქართველ ამხანაგებს

დოქტორი მედიცინისა

ვ. ი. ინაშვილი

მიიღებს შიგნეულის, ქალების, და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, ნაშუადღევის პირველ საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ნიკოლოოზის ქუჩა, № 31, სახლი მადათოვისა.

(20—5)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ქ. ფ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიავანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. გ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

ბ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 სუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლ 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

პარასკევს, 21 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქმნება

გალკა

ოპერა 4 მოქმ. მუსიკა მანიუშკოსი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნოვოსპასკაია, ნიკიტსკაია; ბ-ნნი: სლავინი, ევლახოვი, ვოლსკი, დემინენკო, ფილიპოვი, შეინი.

ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

კაპელმეისტერი ი. პ. ფალიაშვილი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

შაბათს, 15 ოქტომბერს, სპექტაკლი „გალა" წარმოდგენილი იქმნება „რომეო და ჯულიეტა" ოპერა 5 მოქმედ. მუსიკა გუნოსი.

მზადება წარმოსადგენად „ზაზა" ოპერა 4 მოქმ. თარგმანი ამენისა მუსიკა ლეონკავალოსი, თარგმანი გორჩაკოვისა.

ბილეთები იყიდება.

ახალი წიგნი

ეროვნული ენა

თხზ. პეტრე სურგულაძისა

გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.

იყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისი: გაზ. „ივერიის" კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში" და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა" სოსიკო მერკვილაძესთან.

ნაფიცი ვექილი

ივანე ზურაბიშვილი

გადავიდა სასამართლოს (Судебная) ქუჩაზე, მდივანის სახლში, 41.

ტერიტორია და ეროვნება

როგორც ყველამ იცის, იმ მიწა-წყალს, რომელიც უჭირავს ა) განსაზღვრულ სახელმწიფოს ან რომელზედაც ბ) ცხოვრობს ესა თუ ის ხალხი ისტორიულად, ეწოდება ტერიტორია. ტერიტორია, ვითარცა მხოლოდ მიწა-წყალი და, მაშასადამე, ბუნების საგანი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებას ეკუთვნის გამოსაკვლევად, ხოლო იგივე ტერიტორია, ვითარცა ერთ-ერთი მთავარი პირობა სახელმწიფოებრივ ან ეროვნულ არსებობა-განვითარებისა, კვლევა-ძიებისა და განმარტების საგანია სოციალ-ეკონომიურ მეცნიერებათა.

საჭიროც არაა იმისი თქმა, რომ ჩვენ მხოლოდ ამ უკანასკნელის მხრივ გვაინტერესებს ტერიტორიის საკითხი, ე. ი. იმ მნიშვნელობის მხრივ, რომელიც აქვს განსაზღვრულ ტერიტორიას მასზე მცხოვრებ ხალხის ეროვნულ არსებობისა და მის ყოველ მხრივ განვითარებისათვის.

რასაკვირველია, ამ მხრივაც ტერიტორიის მნიშვნელობა ყველას ერთნაირად არ ესმის და ყველა მას ერთნაირად არ აფასებს. კერძოდ ჩვენს ქართულ პრესაში ამ საკითხის შესახებ ორი მთავარი მიმართულება არსებობს.

ამათში ერთი პრინციპიალურად უარ ჰყოფს ტერიტორიის საკითხის საერთო ეროვნულ ხასიათს,—მას იგი ბურჟუაზიულ საკითხად სთვლის და ჰგონია, რომ მშრომელი ხალხი სრულიად დაინტერესებული არ არის ტერიტორიის დაცვასა და ამ ხალხოსნურ არსებობის საზოგადო ნიადაგის შენარჩუნებაში. ასეთია იმ მიმართულების შეხედულება ამ საგანზე იმიტომ, რომ მას ერში მხოლოდ კლასობრივი დანაწილება სწამს და, რადგან პროლეტარიატს მამული არა აქვს, საკუთრება არ მოეპოვება, რადგან იმათაც კი გაპროლეტარება მოელით, რომელნიც დღეს მესაკუთრენი არიან, ამიტომ იმ მიმართულების მომხრე იდეოლოგები კლასთა ბრძოლის პრინციპთან შეუთანხმებლად სთვლიან, პროლეტარიატს ტერიტორიის საერთო მნიშვნელობა აუხსნან და ურჩიონ მას,—იდეური მომხრეობა გაუწიოს ეროვნულ მიწა-წყლის დაცვის საქმეს, იმ მიწა-წყლისა, რომელიც ნამდვილად მემამულეებისა და ბურჟუაზიის ხელშია. ეს მიმართულება საჭიროდ სცნობს მხოლოდ პროლეტარიატის შეერთებას და შეერთებულის ძალით კლასობრივ ბრძოლის წარმართვას, ხოლო იმ მიწა-წყალზე, რომელზედაც ეს ბრძოლა უნდა გაჩაღდეს, გამრავლდება თუ არა გარეშე, უცხო ხალხი, მთლიანი იქმნება თუ არა ქართველი ხალხი მოსახლეობის მხრივ,—მისთვის მნიშვნელობას მოკლებული გარემოებაა, ვინაიდან კლასობრივ ბრძოლის გადამწყვეტია მხოლოდ მებრძოლთა კლასობრივი ძალა, რომელსაც, მიუხედავად გვარტომობისა და ეროვნებისა, ეკონომიური ინტერესი აერთიანებს კლასობრივ ნიადაგზე.

მეორე მიმართულება კი, რომელსაც ჩვენც ვემხრობით, სცნობს კლასობრივ ბრძოლას, ვითარცა ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს ერის წინმსვლელობისას, მაგრამ იმავე დროს მას სურს ეს ბრძოლა გაჩაღებული იყოს იმგვარს პირობებში, რომლებიც აუცილებლად საჭიროა როგორც ამ ბრძოლის ნაყოფიერობისათვის, ისე საერთოდ მთელი ხალხის კულტურულ წარმატებისა და აღორძინებისათვის. ჩვენის აზრით, ხალხის კულტურულ განვითარების ერთ-ერთ ასეთ საჭირო პირობას შეადგენს მთლიანი ტერიტორია, რომელზედაც ხალხი ცხოვრობს და საქმიანობს.

ეს აზრი, გვგონია, მკითხველისთვის უფრო ცხადი გახდება, თუ მას კონკრეტულად წარმოვიდგენთ და ამისთვის მარტივ მაგალითს დავასახელებთ. წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოში, სადაც დღეს მრეწველობა ასე განუვითარებელია, ხვალ ან ზეგ უცებ უცხო ქვეყნებიდან ექვსი ათასი მსხვილი კაპიტალისტი მოვიდა და ამათ ექვსი ათასი მსხვილი სამრეწველო წარმოება გამართეს. წარმოვიდგინოთ ისიც, რომ თითოეულ წარმოებას ათასი მუშა უნდება და ყველა მუშები უცხოეთიდან მოვიდნენ. ამ მაგალითის თანახმად, ჩვენს მხარეს შეემატება ექვსი ათასი კაპიტალისტი და ექვსი მილიონი მუშა-ხალხი. წარმოვიდგინოთ ეს და ვიკითხოთ: რა მოგვივა ამ შემთხვევაში ჩვენ, ვითარცა ერს? გვგონია, ამის პასუხი ძნელი არ არის: მიუხედავად ქართველ პროლეტარიატის კლასობრივ სოლიდარობისა უცხო ეროვნების პროლეტარიატთან, 1½ მილიონი ქართველი ხალხი ისე გაითქვიფება 6 მილიონ უცხოელებში, როგორც ზოგიერთ „სექტანტ" პუბლიცისტის გონიერება „იდე ფიქსად" გადაქცეულ ფრაზებში...

მშრომელ ხალხის კლასობრივ ბრძოლის ნაყოფიერობა დამყარებულია არა მუშტსა ან თოფის სროლის ცოდნაზე, არამედ შეგნებასა და გონებრივ განვითარებაზე. უცხო ხალხის გამრავლება და მასში პატარა ერის ყოფნა სრულიად მშვიდობიანადაც, ძალდაუტანებლადაც იწვევს უკანასკნელის ეროვნულ გადაგვარებასა და გადაშენებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას იმდენად მაღალი კულტურა არ აქვს შექმნილი, რომ შეეძლოს თვით ამ კულტურის ძალის მეოხებით წინააღმდეგობა გაუწიოს უცხოელთა გადამგვარებელ ზეგავლენას. გადაგვარების დაწყება გამოიხატება,სხვათაშორის, ენის არევასა და, მაშასადამე, გონებრივ განვითარების აუცილებელ იარაღის დაჩლუნგებაში. მშრომელ ხალხს, რომელმაც მხოლოდ თავისი დედა-ენა იცის, მხოლოდ ამ ენაზე შეუძლიან აზრის გაგება, ცოდნის შეძენა და, მაშასადამე, კლასობრივ ბრძოლისაც უფრო ნაყოფიერად წარმართვა, ესაჭიროება ამ ენაზე პრესსა, მწერლობა, მეცნიერება, ესაჭიროება სკოლა და სხ. მრავალრიცხოვან უცხო-ეროვნების ხალხის ზედგავლენით გამოწვეული გადაგვარება პატარა ხალხისა მაინც გადაგვარება არის, მიუხედავად იმისა, ეროვნულ ბრძოლით თუ მშვიდობიან კულტურულ მუშაობით იწვევს ის უცხო ხალხი ამ გადაგვარებას.

ეს არის მხოლოდ ერთი მხარე, და ნამდვილად პატარა ერის გალესვა და გათქვეფა მრავალრიცხოვან უცხო ტომის ხალხში ბევრის მხრით იმის გადაგვარებასა და, მაშასადამე, მის კულტურულ განვითარების შეფერხებას ნიშნავს. ცხოვრების რა დარგიც უნდა გაითვალისწინოთ, ყველგან ეს სურათი წარმოგვიდგება და დაინახავთ, რომ ერის-მიერ საკუთარ კულტურულ აღორძინების ნიადაგის დაკარგვა, მისი გადაგვარება მშრომელ ხალხს შეეხება და ძალიან ახლოც შეეხება... ტერიტორია აუცილებელი საფუძველია ხალხის მრავალ-მხრივ კულტურულ ცხოვრების განსავითარებლად და ამიტომ ის, ვინც იცავს ეროვნულ ტერიტორიის მთლიანობას და იმავე დროს შინაურ სოციალ-ეკონომიურ განწყობილებაში მხარს უჭერს მშრომელ ხალხის ინტერესებს, ნამდვილი მეგობარია ხალხისა, ვინაიდან ამ გზით მიმართვა ხალხის სოციალ-პოლიტიკურ აზროვნებისა და მოქმედებისა განსაკუთრებით საჭირო და სასარგებლოა ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ეროვნებისათვის.

მთელი ეს მსჯელობა ჩვენ გავმართეთ დღეს გაზ. „მშაკის" წერილის გამო, რომელსაც ამავე ნომერში ვბეჭდავთ. სომხურ გაზეთის რედაქციას გული დასწყვია, რომ ქართულმა პრესსამ სომხის ბურჟუაზიას მხარი არ დაუჭირა და მანაც „პანისლამიზმისა" და „იფტიადის" შესახებ ზღაპრები არ გაავრცელა. გულნაწყენ „მშაკს" განუზრახავს ქართულ პრესსის დემოკრატობის გარჩევა და აღმოუჩენია, რომ ჩვენი დემოკრატობა თურმე... პროლეტარიატის დევნაში გამოიხატება!..

მკითხველს, რასაკვირველია, გაუკვირდება ასეთი უცნაური ამბავი, რომ დემოკრატია ხალხს, ე. ი. თავის თავს სდევნიდეს, მაგრამ „მშაკისთვის" არა არის საკვირველი. ჩვენ არაფერს ვიტყვით წერილის იმ ადგილზე, სადაც თავ. ი. ჭავჭავაძის ნაწერი არის ნახსენები, რადგან ეს, ჯერ ერთი, საგანს აგვაცდენს, და, მეორეც—ი. ჭავჭავაძეს „მშაკის" წინაშე მაინც თავის დასაცავად ჩვენი დახმარება არ ესაჭიროება.

აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რასაც „მშაკი" ქართულ პრესსის დემოკრატობის შესახებ სწერს. ამისთვის მას ხელახლა გაუხსენებია ძველი საკამათო საგნები, რომელთა გარკვევის დროს მანვე ფეხი წაიკრა და ჩვენ თავისი ბურჟუაზიული მისწრაფება გამოგვამჟღავნებია.

მოხსენებულია ორი ფაქტი. პირველი ის, რომ ბ-ნმა ქალანთარმა სოხუმის ოლქში ოსმალეთიდან გადმოსულ სომხების დასასახლებლად მარტის თვეში შუამდგომლობა გამართა მთავრობის წინაშე, და მეორე ის, რომ სომხის ბურჟუაზიამ თავის „პეტიცია"-ში ოსმალეთიდან კავკასიაში გადმოსახლებულ სომხებისათვის ნადელები მოითხოვა. პირველსა და მეორე შემთხვევაშიაც ჩვენ პრინციპიალურად დავაყენეთ საკითხი და სომხის ბურჟუაზიის სურვილს მხარი ვერ დაუჭირეთ. ჩვენ ვუთხარით, რომ მომხრე ვართ ჩვენში მცხოვრებ სომხების ქართველებთან და სხვებთანაც თანასწორ უფლებიანობისა, მაგრამ ვერ გავხდებით თანახმა, რომ ჩვენი თავის-თავად ვიწრო ადგილი ოსმალეთიდან გადმოსულთათვის საკოლონიზაციო ადგილად გამოაცხადონ. „მშაკისათვის საკმაო საბუთია, რომ უცხო სახელმწიფოებიდან მოსულებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღონ ნადელების მოსაპოებლად. ეს ბავშური აზრი მას საბუთად მიაჩნია. აბა, ოსმალეთის რომელი პროლეტარი იტყვის უარს რუსეთის ქვეშევრდომობაზე, თუ მას მიწას მისცემენ და მესაკუთრედ გახდიან. ჩვენ პირობას ვაძლევთ „მშაკის" რედაქციას რომ ქართველ უმიწაწყლო გლეხებში ვიშოვით ისეთებს, რომელნიც სიამოვნებით გადავლენ გერმანიაში, თუ იქ მათ მიწას მისცემენ და დაასახლებენ.

„მშაკს" ვითომ არ ესმის, თუ როგორ შეიძლება ვინმე დემოკრატიზმს ემხრობოდეს და იმავე დროს არ თანხმდებოდეს, რომ ყოველ მხრიდან მოსულ ემიგრანტებს ადგილობრივ ნადელები მისცენ. იქნება ეს იმ განმარტების შემდეგ გაიგოს, რომელიც ჩვენ ამ წერილის თავში მოვათავსეთ.

იმედი კი არა გვაქვს, ვინაიდან ვიცით „მშაკის" ლოღიკა. ეს გაზეთი გადმოსახლებულ სომხებისთვის ნადელების მოსაპოებლად სხვადასხვა შუამდგომლობას გამართავს, ხოლო, რომ გაიგოს, აქეთკენ რუსებს ასახლებენო, მაშინვე ფიცს დაიწყებს: მიწა არ არის აქ საკმაოდ. ჩვენ თურმე კარგი დემოკრატები ვიქნებით, თუ ასეთ ლოღიკას შევიწყნარებთ და მივემხრობით..

„მშაკი" ხელგაშლილია, როცა მისიანებს არგებს. რა ეხარჯება...

◆

ჯარები და მშვიდობიანობა სახელმწიფოში

რა-კი სახელმწიფო და სახელმწიფოს ყოველი დაწესებულება ხალხისთვის არსებობს, რა-კი ყოველ ხარჯს და მთავრობის ყოველსავე განკარგულებას მიზნად უნდა ჰქონდეს ხალხის კეთილდღეობა, ამიტომ საკვირველი არ არის, თუ ხალხი ცდილობს სახელმწიფო მოაწყოს ისე, რომ ადმინისტრაცია, ჯარი და თვით მთავრობა ყოველთვის ისე მოიქცეს, როგორც ხალხს უნდა და როგორც ამას ხალხის კეთილდღეობა მოითხოვს.

ამიტომ იქ, სადაც ხალხს თავისი უფლებები შეგნებული აქვს, ყველა მოითხოვს კანონმდებლობის საქმეში მონაწილეობის მიღებას და ცდილობს მოსპოს ის წყობილება, რომელიც ხალხს გაბატონებულ ბიუროკრატიის მონად ხდის და რომელიც ამ ბიუროკრატიას ხალხის წინაშე ყოველგვარ პასუხისმგებლობას აშორებს.

ამიტომ უნდათ, რომ ადმინისტრაცია, დაბლიდან დაწყებული უმაღლესამდის, ხალხის წარმომადგენელთა საკანონმდებლო კრებულზე იყოს დამოკიდებული, რომ ამნაირად არავის, სახელმწიფოს არც ერთ მოხელეს აღარ შეეძლოს ხალხს უღალატოს და ხალხის დასაჩაგვრელად ხელი შეუწყოს რომელიმე გარეშე ძალის ან რომელიმე ერთ ჯგუფის თუ კლასსის გაბატონებას სახელმწიფოში.

ჩვენ დროის სახელმწიფოში მთავრობის ძალა როგორც შინ, ისე გარედაც, სხვათა შორის, ჯარების არსებობაზეა დამყარებული. მუდმივი ჯარი, გაწვრთნილი და თავის უფროსების ყოველივე ბრძანების ბრმა აღმასრულებელი, სასტიკი დისციპლინით შეკავშირებული და ერთ მთლიან ძალად გადადუღებული, ის იარაღია, რომლის საშუალებითაც თანამედროვე სახელმწიფო ცდილობს მოიპოვოს მეზობელ სახელმწიფოთა პატივისცემა და მშვიდობიანობაც დაამყაროს შინ, თავისავე საზღვრებში.

მშვიდობიანობა სახელმწიფოში,—აი ამას ემსახურება ჯარები მაშინ, როდესაც გარეშე მოწინააღმდეგესთან არავითარი ომი არ არის. მაგრამ ჯარს იშვიათად შეუძლიან თვითონვე განსაჯოს, თუ რამდენად ხელს უწყობს ამ მშვიდობიანობას ის ბრძანება, რომელიც მას უფროსისაგან მიღებული აქვს და რომელიც უნდა აასრულოს, თუ არ სურს დისციპლინის დარღვევა. ხშირად მომხდარა ევროპაში ისეთი მაგალითები, რომ ჯარი ხედავდა ბრძანების უსამართლობას, მაგრამ ასრულებდა მას, ბრძანების გადადგომას ვერ ახერხებდა, რომ ჯარი სახელმწიფოში გაბატონებულ ერთ რომელიმე ჯგუფის ხელში გამხდარა ბრმა იარაღად ხალხის დასაჩაგრავად და ხალხში თავისუფლებისადმი ყოველივე მისწრაფების მოსასპობად.

ამიტომ იქ, სადაც ხალხი გამოფხიზლების გზას დადგომია და სადაც მას მოუთხოვია ან მიუღია მონაწილეობა სახელმწიფოს გამგეობაში, ხალხის დემოკრატიული ელემენტები არ კმარობენ ამას და მოითხოვენ, რომ სახელმწიფოს ყოველი დაწესებულება იყოს მოწყობილი ისე, როგორც ხალხისათვის სასარგებლოა. ჯარის შესახებ ამბობენ, რომ იგი მხოლოდ ქვეყნის და ხალხის დასაცველად უნდა არსებობდეს გარეშე, შემოსეულ მტრის მოსაგერებლად და რომ, ამიტომ, მუდმივ ჯარების ყოლა საჭირო არ არისო, რადგან მას აუარებელი ხარჯი სჭირდება და, ამას გარდა, მუდმივი ჯარი ხშირად ჰკარგავს ყოველივე კავშირს ხალხთან და მის საწინააღმდეგოდ მოქმედობს. ამიტომ, ამბობენ, მუდმივ ჯარების მაგიერად სახალხო მილიციები უნდა შემოიღონ, მილიციები ხალხთან მჭიდროდ დაკავშირებული და ხალხის სურვილების აღმასრულებელი.

ჯარმა უნდა იცოდეს, რომ მისი მოვალეობაა ხალხის დაცვა გარეშე მტრის შემოსევის დროს და სწორედ ამიტომ საჭიროა, რომ ჯარი იქ იდგეს, სადაც მას ადგილობრივ მცხოვრებლებთან აკავშირებს ნაცნობობა და ნათესაობა, იქ, სადაც იგი თავის თავს შინ გრძნობს, —და ეს კი შესაძლო არის მხოლოდ მაშინ თუ შესდგა ადგილობრივი მილიციები.

რუსეთში, სადაც ხალხი თანდათან გამოფხიზლების გზას დაადგა და სადაც ხალხს ბევრგან მოუხდა შეტაკება ჯარებთან, ჯარების საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიეცა, და თითქმის ყველგან ხალხმა სურვილი გამოსთქვა, რომ შესდგეს ადგილობრივი მილიციები,—ქალაქ ადგილებში ამ მილიციებს ადგილობრივი თვითმართველობა შეადგენდა და საზოგადოდ ყველგან ხალხის თვითმართველობა უნდა გამხდარიყო მილიციების მოთავე.

როგორ გადასწყვეტავს მომავალში ამ საკითხს ის საკანონმდებლო დაწესებულება, რომელიც აუცილებლად შემოვა რუსეთში, ჩვენ ჯერ არ ვიცით. ცხადია მხოლოდ, რომ იმ დაწესებულებაში თუ დემოკრატიულ ელემენტებს ექმნებათ უპირატესობა, მაშინ ჯარების საკითხი ადვილი გადასაწყვეტი იქმნება და შინ, სახელმწიფოში, მშვიდობიანობის დასამყარებლად რაკი საჭირო აღარ იქმნება ჯარების ძალა, ამიტომ მათ ადგილას სახალხო და ადგილობრივი მილიციები შემოვა.

ეს იქმნება ყველგან მაშინ, როდესაც სახელმწიფოს შეცვლილი წესწყობილება ყველგან, ევროპაშიაც მთავრობას გახდის ხალხის სურვილების აღმასრულებლად.

კ. ს.

◆

კიდევ სათათბიროზე

გუშინ დეპეშებმა მოგვიტანეს პეტერბურგიდან ამბავი, რომ მოკლე ხანში უნდა გამოიცეს ახალი განკარგულება, რომლის ძალითაც მომავალ „სათათბიროს“ წინანდელთან შედარებით მეტი უფლება ექმნება მინიჭებული. ამბობენ, იგი დასავლეთ ევროპაში არსებულ პარლამენტების მაგვარი შეიქმნებაო.

ჯერ მხოლოდ ორი თვე არის გასული 6 აგვისტოს შემდეგ, როდესაც გამოცხადდა, რომ ხალხს სახელმწიფო საქმეების მართვასა და გამგეობაში მხოლოდ სათათბირო ხმა ექმნება მინიჭებული, ისიც კუდმოკვეცილი, რადგანაც მთავრობას მხოლოდ მაშინ უნდა ეკითხნა სათათბიროს აზრი რომელიმე საქმის შესახებ, როდესაც თვით მთავრობას ესურვებოდა.

მხოლოდ ორი თვე არის მას აქეთ, რაც ჟურნალ-გაზეთებში და კრებებზე საზოგადოებამ ჯეროვნად დაფასა 6 აგვისტოს ახალი კანონი და გადასწყვიტა არჩევნებსა და სათათბიროში მონაწილეობის მიღება მხოლოდ იმ მიზნით, რომ ეს „სათათბირო“, ყოველივე უფლებას და მნიშვნელობას მოკლებული დაწესებულება, გამხდარიყო თვითონ კანონების გამომცემელი, იმისთვის, რომ სათათბიროს პირველი კრება დამფუძნებელ კრებად გამოეცხადებინათ.

ჯერ ეგონათ, რომ უკმაყოფილება დროებითი იყო და რომ ხალხი კუდმოკვეცილ სათათბირო უფლებას იკმარებს. ამის მიხედვით დაპირდნენ კიდეც საზოგადოებას, პრესსასაც შესაფერ შეღავათს მივანიჭებთო, უფლებას მივცემთ ასარჩევ კანდიდატების სიები ბეჭდოსო.

მაგრამ მალე გამოჩნდა, რომ ეს მოლოდინი არ მართლდებოდა, არჩევნების დრო მოდიოდა და ხალხი ემზადებოდა წარმომადგენელთა ასარჩევად—დამფუძნებელ კრებისთვის და არა სათათბიროსთვის. ამასთან ერთად ხალხი, რომელსაც უნდა აერჩია წარმომადგენლები, აშკარად ხედავდა, რომ არსებულ პირობებში ეს არჩევნები უნაყოფო იქმნება, თუ ერთის მხრივ არ შემოვიდა ახლავე სიტყვის, პრესსის და პიროვნების თავისუფლება და თუ, მეორეს მხრივ, არჩეულ წარმომადგენლებს საკანონდებლო, გადამწყვეტი უფლება არ ექმნებათ მინიჭებული.

ძველი რეჟიმის დამცველნი ამაოდ ცდილობდნენ უფლებების მოსაპოვებლად მომქმედ ელემენტების გაჩერებას. ის მოძრაობა, რომელიც წინად მხოლოდ აქა-იქ იჩენდა თავს, ახლა მთელ რუსეთს ერთბაშად მოედო. დეპეშები ყოველ დღე გვატყობინებენ, რომ რუსეთის ყველა რკინის გზაზე მიმოსვლა შესწყდა და ამითი შესწყდა ის კავშირი, რომელიც წინად ძველ რეჟიმის მომხრეთა ერთობას აძლიერებდა. მოსკოვი მთელ დანარჩენ რუსეთზე მოწყვეტილია,—რუსეთის დანარჩენ ნაწილებშიაც ელიან ამავე მოძრაობის გაძლიერებას. დეპეშების სიტყვით, მოსკოვში მომქმედ ელემენტების წარმომადგენლებმა განაცხადა, რომ მშვიდობიანობა მხოლოდ მაშინ დამყარდება სახელმწიფოში, როდესაც სავსებით იქმნება დაკმაყოფილებული მათი პოლიტიკური პროგრამმა.

რომ ამ პროგრამმის შესრულებას წინანდელივით მედგარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ ძველი რეჟიმის მომხრენი, ამას ამტკიცებს ზემოხსენებული დეპეშა პეტერბურგიდან, რომელიც გვატყობინებს, რომ „სათათბიროს“ მაგიერად, ალბად, მალე „საკანონდებლო კრებულს“ ჩაბარდება მართვა-გამგეობის საქმე და რომ ხალხს ისეთივე უფლებები მიენიჭება, რომელიც მას უკვე მინიჭებული აქვს დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოში.

ეს ორი მოვლენა,—რკინის გზებზე საერთო გაფიცვა ერთის მხრივ და ახალ რეფორმების დაპირება მეორეს მხრივ,—ორივე მეტად მნიშვნელოვანია და საგულისხმოც იმათთვის, ვინც უკვირდება რუსეთის თანამედროვე ცხოვრებას და ვინც ცდილობს სხვადასხვა მოვლენის ერთმანეთში დაკავშირებით ახსნას ცხოვრების თანდათანი განვითარება.

ი. ლ—ძე.

დღევანდელი ქართული წარმოდგენა

სახელმწიფო თეატრში დღეს წარმოდგენილი იქმნება სტრინდბერგის ცნობილი პიესა „მამა“, რომელმაც ავტორს დიდი სახელი მოუხვეჭა.

ავგუსტ სტრინდბერგი თუმცა დიდი ხნის ცნობილი მწერალია და საქვეყნოდ სახელგანთქმულიც, მაგრამ რუსეთში და ჩვენშიაც იგი ახლა იწყებს ხალხის გულის მონადირებას.

სტრინდბერგი დაიბადა 1849 წ. მწერლობაში იგი გამოვიდა სამოცდაათიან წლებში და ჯერ სრულებით ჭაბუკი,—22 წლისა არც კი იყო, რომ საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა და ცნობილიც შეიქმნა. მისი საუკეთესო პიესა, „მამა“ დაწერილია ამ ხუთმეტ-თექვსმეტის წლის წინად, 1887 წელს, და მწერლობასა და საზოგადოებაში დიდი ალიაქოთი ასტეხა.

ავგუსტ სტრინდბერგი დიდის ნიჭისა, ღრმა ჭკუა-გონებისა და მგზნებარე ბუნების მწერალია და ჩრდილოეთის მწერალთა შორის საუკეთესოდ ითვლება. ჰენრიხ იბსენი, ბიერნსტიერნ-ბიერნსონი და ავგუსტ სტრინდბერგი,—აი, ის სამი მწერალი, რომლებითაც დღეს, ყოვლად სამართლიანად, ამაყობს ჩრდილოეთის პოეზია.

რაც კი ადამიანს, მის სულსა და გონებას ხუთავს და სჩაგრავს, იმას სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა სკანდინავის მწერლობისაგან. ყველაფერი, რაც კი ჩვენს თანამედროვე კაცობრიობას აღელვებს და აინტერესებს, როგორც მაგალითად, სრული თავისუფლება, თვითგანვითარება და პიროვნების დამოუკიდებლობა, რწმენისა და სინიდისის ხელუხლებლობა, უფლება ქალისა, ქორწინებისა და ოჯახის სიწმინდე, სქესებრივი ურთიერთობა და სხვა მრავალი საჭირბოროტო კითხვები ცხოველმყოფელის ნიჭით გაპიროვნებულ იქმნა შვეცია-ნორვეგიის მწერლობის მიერ.

ავგუსტ სტრინდბერგი თავის „მამა“-ში წინააღუდგა ბიერნსონის „ლეონარდას“ და იბსენის „ნორას“ და ქალების უფლებათა მებრძოლის მაგიერ იგი შეიქმნა საშინელი მოძულე ქალების „მტარვალობისა“.

გეორგ ბრანდესის სიტყვით, სტრინდბერგი სამართლიანად შეშინდა იმ საერთო აღტაცებით, რომელიც გამოწვეულ იქმნა მის სამშობლოში ქალების ემანსიპაციით, „ნორასა“ და „ლეონარდას“ უკიდურესის მიმართულებით და იგი განზე გადაუდგა იბსენსა და ბიერნსონს. „ძალა სუსტებისა“ ამაზე უარესი მტარვალობა, ამაზე ულმობელი მონობა შეუძლებელიაო“,—ამბობს სტრინდბერგი და შეუპოვარის მედგრობით შეებრძოლა საზოგადოების აზრს, საერთო მიმართულებას და ქალი ძირს ჩამოიყვანა იმ სიმაღლიდან, რომელზედაც იგი დააყენეს იბსენმა, ბიერნსონმა, ბრანდესმა და სხვა მათმა თანამეკალმეებმა...

ერთის მხრით ქალების ასეთს ძულებასა და მტრობაში, უეჭველია, ცოტად თუ ბევრად, ურევია საკუთარი პირადული გრძნობაც ავგ. სტრინდბერგისა. ცნობილია, რომ სტრინდბერგის ცოლი, დაგნა, შესანიშნავი სილამაზისა და ჭკუა-გონების პატრონი, ცოტა ხნის შემდეგ გაეყარა, თუ გაექცა თავის ქმარს და მეორედ მისთხოვდა პოლონეთის ცნობილსავე მწერალს სტანისლავ ფშებიშევსკის, მერე ამასაც თავი მიანება და სხვას გადაეკიდა და ბოლოს ვგონებ, თავიც მოიკლა, თუ მოჰკლეს კავკასიაში—ტფილისში. თვითონ ეს ქალი, დაგნა, მწერალი იყო და მისი პიესა „ცოდო“ რუსეთში არა ერთხელ წარმოუდგენიათ.

ესეა თუ ისე, ავგ. სტრინდბერგის ტრაგედია „მამა“ შესანიშნავი თხზულებაა და იმავე დროს საშინელი, სასტიკი ბრალდების ოქმია ქალების წინააღმდეგ.

W.

დავუჯეროთ?

(გაზეთ „მშაკ“-იდან)

სომხების ახლანდელ უბედურებას, რასაკვირველია, დიდი ყურადღება მიაქცია პრესსამ. დღემდის ჩვენ ვერაფერი ვთქვით შესახებ იმისა, თუ რა პოზიცია დაიჭირა ქართულმა პრესსამ ამ შემთხვევაში. ჩვენმა მკითხველმა მხოლოდ ის იციან, რომ ქართული პრესსა არც მეგობრულად გვექცევა, ცალმხრივობასაც ვერ გასცილებია. ახლა კი ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ ქართულ პრესსის შესახებ. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ მხოლოდ პუბლიცისტურ გულწრფელობით და ვეცდებით საკითხი საერთოდ განვიხილოთ და არა მათი მხოლოდ რომელიმე მხარე.

ქართული პრესსა სომხებს ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა. ეს, რასაკვირველია, იმის საქმეა; ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ქართულ პრესსის პოზიციაში მოულოდნელი და არაჩვეულებრივი არაფერია. ჩვენი პატივცემული მეზობლები სომხების შესახებ სწორედ ისევე იქცევიან, როგორც ამ 10—15 წლის წინად იქცეოდნენ. მართალია, დღეს ქართული პრესსა ცოტა სხვანაირ ენით ლაპარაკობს, ქართულ პრესსას სხვანაირი ხასიათი აქვს,—მაგრამ, თუმცა დრონიც იცვლებიან და ღმერთებიც,—ქართულ პრესსას თავისი აზრი სომხების შესახებ არსებით დღესაც არ შეუცვლია. ამას წინად „ცნობის ფურცელმა“ სომხებზე იერიში მიიტანა და სთქვა, რად ჰგონიათ სომხებს, რომ ჩვენ მათ ვემტერებითო. ჩვენ,—სწერს ეს გაზეთი—სომხებისა და თათრების შეტაკების გამო გული გვტკივა და წინადაც გვტკიოდა, მაგრამ სომხებს ვერ მივიმხრობდით, რადგან ვხედავდით, რომ ყველა ეს უბედურება სომხის ბურჟუაზიის ბრალიაო. გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ იგი კავკასიის დემოკრატიის წინაშე პასუხის მგებელი იქნებაო.

ამ სიტყვებით გაზეთს, ეჭვი არ არის, უნდა მკითხველებს ერთხელ კიდევ დაანახოს თავის რადიკალური მიმართულება. მაგრამ ამ ბრწყინვალე სიტყვებითა და ლამაზ ფრაზებით თავბრუს ვერ დაგვხვევენ; ჩვენ მაინც უნდა გამოვარკვიოთ და დავამტკიცოთ, ვინ არის მართალი და ვინ სტყუის.

დიდიხანია, რაც „ცნობის ფურცლის“ ზემოხსენებულ სიტყვებს ყველა ქართველი პუბლიცისტი იმეორებს. ეს სიტყვები სტერეოტიპია; ეს სიტყვები მსჯელობის ის მზა-მზარეული ფორმაა, რომელსაც ხელში იღებენ არა მარტო პროლეტარიატისა და იმის კლასიურ ინტერესების ნაფიცი დამცველნი, არამედ იმისთანა ბარმა შოვინისტებიც კი, როგორიც არის, მაგალითად, როტმისტრი ბორის ესაძე.

როცა სიტყვა სომეხს ეხება, ყველა ქართველი მწერალი საშინელი რადიკალი ხდება. ასე იქცევა „ივერიაც“ და „მოგზაურიც“. ეს გაზეთები ირწმუნებიან, რომ მათ საშინლად უყვართ სომეხი მდაბიო ხალხი, მაგრამ ისინი ყველაფერს სომხის ბურჟუაზიასა და ინტელიგენციას აბრალებენ და ერთის დაკვრით ორ საქმეს აკეთებენ: ერთი მხრით ისინი თანამედროვე რადიკალიზმის უმანკო მებრძოლებად გამოდიან, მეორე მხრით კი ძველ ბზეს ანიავებენ. დიახ, ძველ ბზეს ანიავებენ! ამ რამდენიმე წლის წინად, ველიჩკოს მეფობის დროს, თავ. ილია ჭავჭავაძემ,—ქართულ ნაციონალისტურ და შოვინისტურ ცრუ-მორწმუნოების ძველმა და განთქმულმა ბურჯმა,—ისეთი ბრალდება დასდო სომხებს, რომ ველიჩკომ საგურამოს რაინდს შუბლში აკოცა. ამ „რაინდის“ „განთქმული“ თხზულებანი ქართველმა შოვინისტებმა საჩქაროდ რუსულად გადათარგმნეს იმ აზრით, რომ ჭავჭავაძის თავადურ ნაციონალისტური ბრალდებანი მარტო ქართულ არაკად არ დარჩენილიყო და ფართოდ გავრცელებულიყო საზოგადოებაში — „განურჩევლად ენისა და სარწმუნოებისა“.

ჩვენ უკვე ვიცით ამ ნაციონალურ ბოდვის ზოგიერთი მარგალიტი. უბრწყინვალესმა თავადმა სომხები ქურდებად და ავაზაკებად გამოაცხადა. ის ამბობდა, სომხები უნამუსონი არიან, ისინი საქართველოში შემოვიდნენ, ქართველებს ლუკმა პურს ართმევენ და აქედან წასვლას არც კი ფიქრობენო. მაგრამ ამავე დროს მათი ბრწყინვალება მოხერხებულ პოლიტიკოსივით აცხადებდა, რომ მისი სიტყვები არ შეეხება სომხის ხალხს, რომელსაც ის იქვე თავის სიმპატიას უცხადებდა. თავადის წინაშე იდგა ბრალდებული სომხის ინტელიგენცია. იმ დროს ბურჟუაზიის შესახებ ლაპარაკიც არ იყო. ან განა ბანკის მოღვაწეს ბურჟუაზიის გაკიცხვა შეეძლო? ჭავჭავაძე რომ ასე მოქცეულიყო, ეს იმას ემგვანებოდა, რომ მას ორივე ხელით თავის თავისთვის სილა შემოეკრა. ან სად იყო მაშინ „მეცნიერული სოციალიზმი“?

ჭავჭავაძის მოდგმამ თავის ადგილი მეორე, ახალ თაობას დაუთმო. ამ ახალმა თაობამ ბრალდებულის სკამზე სომეხ ინტელიგენციის გარდა სომხის ბურჟუაზიაც წამოსკუპა, ამას თხოულობდა თანამედროვე დემოკრატიული სწავლა-მოძღვრება. აბა, პროლეტარიატის ინტერესების დაცვა სხვაფრივ როგორ შეიძლებოდა! მაგრამ ერთმა შემთხვევამ ქართველ რადიკალების დემოკრატობა სავსებით გამოაშკარავა.

შავი ზღვის ნაპირზე დიდი ხნის განმავლობაში ოსმალეთიდან გადმოხვეწილი სომხები მუშაობდნენ. ესენი ნამდვილი პროლეტარები იყვნენ. მათ არა ჰქონდათ საკუთარი მიწა. ისინი თავიანთ ოფლითა და სისხლით მემამულეთა ჯიბეებს ასქელებდნენ. როცა თავადმა გოლიცინმა კავკასიის სომხებს წასართმევი ველარაფერი უპოვნა, ამ უბედურ გადმოსახლებულებს მიჰყო ხელი. რამდენიმე ათი ათასი პროლეტარი თავიანთ ცოლშვილით ჩრდილოეთ ოკეანეს ნაპირებისკენ უნდა გაეგზავნათ; მათ შებრალება მოითხოვეს. მათი თხოვნა კავკასიის უმაღლეს მთავრობის კარებს მიადგა. მერე რა ჰქმნეს ამ დროს ქართველმა რადიკალებმა? ერთი აყალმაყალი ასტეხეს და დაიწყეს ყვირილი, საქართველო ქართველებისთვის უნდა იყოსო. ეს სიტყვა დევიზად გახდა არა მარტო „ივერიისთვის“ და ბორის ესაძისთვის, არამედ „ცნობის ფურცლისთვის“, რომელიც ზემოხსენებულ უბედურების შემდეგაც დემოკრატიის სახელით სომხის ბურჟუაზიას თავზე დიდი რიხით ცეცხლს აფრქვევდა. ამ გაზეთმა თავ. გოლიცინის პროგრამის განხორციელება მოითხოვა. შავის ზღვის ნაპირიდან ჩამოსულმა ქართველ თავადიშვილმა ამ სომხების გადასახლება არ მოისურვა, რადგან ისინი იმისთვის ოქროს მადანს წარმოადგენდნენ, და, აი, სწორედ ამან დაამტკიცა „ცნობის ფურცლის“ დემოკრატოფილობის სიყალბე. ზემოხსენებულმა თავადიშვილმა ისე დაიწყო სომეხ მეთუთუნეების დაცვა, როგორც ნამდვილმა მებატონემ, და ნიჭიერ ეკონომისტივით დაიცვა თავის ინტერესები. ეს თავადი სამეურნეო საზოგადოებაში თხოულობდა: თუ ღმერთი გწამთ, არ დამღუპოთ! სომეხ მეთუთუნეები რომ გადაასახლოთ სადმე, მე დავიღუპებიო. ისინი ერთ ლუკმა პურსაც სჯერდებიან, მე კი ათი ათასობით მაძლევენო. ისინი დაზღვევას არ თხოულობენ და მაშინ ავყრი ჩემ მამულიდან, როცა ჩემი სურვილი იქნება. ქართულმა პრესამ დიდი საყვედური გამოუცხადა ზემოხსენებულ თავადს—ყმების პატრონს—იმის გამო, რომ ის თანახმა არ იყო იმისა, რომ კაზაკებს რამდენიმე ათი ათასი კაცი მუდმივ ყინულით მოცულ ჩრდილოეთისკენ გადაერეკათ. ამის შემდეგ ეს გაზეთი რამდენისამე სტრიქონის ქვევით თავს იხრიდა დემოკრატიულ პრინციპების წინაშე და პროლეტარიატის ინტერესებს იცავდა.

როტმისტრმა ესაძემ საკუთარ კბილებით დაღრღნა სომეხი მეთუთუნეები და იქვე დასისხლიანებულ პირით თავისი თავი სომეხ მუშა-ხალხის დამცველად და მეგობრად აღიარა; ამავე დროს ესაძე სომხებს არარატის ხეობისკენ უთითებდა და იქ გადასახლებას ურჩევდა.

როგორც ხედავთ, ჭავჭავაძის ჯგუფის და თანამედროვე „დემოკრატიულ“ თაობის შორის არავითარი განსხვავება არ არის.

1895—96 წლებში ოსმალეთიდან გამოქცეულ სომხების ერთმა ნაწილმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, მაგრამ თავადმა გოლიცინმა მათ ისეთი პირობები დაუდო, რომ იმათ მიწის შეძენა მხოლოდ ოცი წლის შემდეგ შეეძლოთ. აქედან წარმოსდგა პროლეტარების უშველებელი ბრბო, რომელიც დღესაც უსახლკაროდ დაბანდებულია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ადგილებზე; ეს ბრბო გლეხებს ემსახურება, იჯარით მიწას იღებს და ამით ერთ ლუკმა-პურს შოულობს. ის ყოველგვარ გადასახადს იხდის და ჯარშიაც გადის, მაგრამ საკუთრების შეძენის უფლებას მოკლებულია. ეს უბედურება მათ თავზე დაატეხა თავ. გოლიცინის უსაზღვრო სომეხთ მძულვარებამ. ამ გაზაფხულს ტფილისში სომეხთა დეპუტატები შეიკრიბნენ და პეტიცია შეადგინეს. ამ პეტიციის ერთი მუხლი ამ უბედურ პროლეტარიატს შეეხებოდა. დეპუტატები თხოულობდნენ, რომ ამიერ-კავკასიაში ამ პროლეტარიატს მიწა მიეცეს, მაგრამ ქართულმა პრესსამ ისევ ერთი აყალ-მაყალი ასტეხა ამ მუშა-ხალხისა და პროლეტარიატის წინააღმდეგ. სომეხ ინტელიგენციასა და ბურჟუაზიას ქართულმა პრესსამ თავს მეხი დაატეხა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ადამიანის უფლებანი მოითხოვა ამ ტიტველა ბრბოსთვის. ქართული პრესსა, რომელიც ყირამალა ტრიალებს ჯამბაზის თოკზე, გოლიცინის „კაცთმოყვარეობის“ მედგარი მოსარჩლე გახდა; მან მოითხოვა, ნუ მისცემთ მაგ სომხებს მიწასო. ოსმალეთიდან გამოქცეული სომხები ძალიან სახიფათონი იყვნენ, რადგან ერთ დროს მათ შეეძლოთ კავკასიელებისთვის მთელი მიწა ადგილი წაერთვათ. ამ მხრით სუვორინსა, ველიჩკოსა და ქართველ პუბლიცისტების შორის გულწრფელი სოლიდარობა არსებობს. სწერეს, იყვირეს და გაჩუმდნენ. ბოლოს გამოირკვა, რომ სომხის ბურჟუაზია და ინტელიგენცია დემოკრატიისა და პროლეტარიატის მტრები არიან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი უმოწყალო უბედურთათვის ადგილს თხოულობდნენ. ქართველი პუბლიცისტები-კი პროლეტარიატის მეგობრები არიან იმიტომ, რომ ისინი თხოულობენ, რომ უმიწაწყლოდ დარჩენილი სომხები სალდათებად წავიდნენ, ხარჯიც მისცენ, მაგრამ მათთვის ერთ ლუკმა პურის მომცემ მიწას არ იმეტებენ.

ეს ამბავი თანამედროვე დემოკრატიის მოძღვრების ქრონიკაში ჩაიწერა.

ახალი ამბავი

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას სხვადასხვა დიდრონ სადგურსა და ქალაქებში **სულ თერთმეტი სკოლა აქვს,** მაგრამ დღემდის არც ერთს სკოლაში ქართულს ენას არ ასწავლიდნენ. დღეს მოუვიდათ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულება, რომ 1905 წლიდან რკინის გზების სკოლაში ქართული ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც აუცილებელი საგანი, მაგრამ ჯერ რკინის გზის სასკოლო საქმის მმართველთ ამ საქმის მოსაწყობად არა გაუკეთებიათ-რა. ხაშურისა და სამტრედიის სკოლებში უმეტესად ქართველი ბავშვები სწავლობენ.

◆ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულომ, განიხილა რა, სხვა მოწვეულ პირთა თანადასწრებით, საკითხი **კახეთში რკინის გზის გაყვანის შესახებ,** დაადგინა: ეს საგანი მოხსენდეს საგუბერნიო საგანგებო კრებას, რომელიც მოწვეულ უნდა იქმნას 19 ნოემბერს. ამისთანავე საკრებულომ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მოხსენება ამ საგნის შესახებ და წარუდგინოს საგანგებო კრებას. კომისიაში იქმნენ არჩეულნი: თ. ალ. ზაალისძე ჩოლოყაშვილი, სვ. რევ. ვახვახიშვილი და ვას. ილ. რცხილაძე.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ სიმბირსკის ქალაქის საბჭოსაგან **გუშინ შემდეგი დეპეშა მიიღო:** „სიმბირსკის ქალაქის საბჭო აცხადებს თავისს უსაზღვრო აღშფოთებას იმ ძალმომრეობის გამო, რომელიც იხმარეს ტფილისის ქალაქის საბჭოში შეკრებილ მოქალაქეების წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ქალაქის მოურავისა და ხმოსნების სამსახურიდან გადადგომა“.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მოსამსახურეთ მთელი რუსეთის რკინის გზების დელეგატთა კრების თავმჯდომარეს **შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს:** „გავიცანით რა გაზეთების ანგარიშიდან კრების მუშაობა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურენი სიამოვნებასა ვგრძნობთ იმის გამო, რომ ჩვენმა ამხანაგებმა ბიუროკრატიას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს. ვისურვებთ, რომ უფრო შეურიგებლად დაშლილიყოთ, ვიდრე ბიუროკრატიას დაუთმობდეთ რასმე (ტ. ლ.).

◆ **ს. ალში** (გორის მაზრა) სპ. მაჭარაშვილისა და სოფ. ნოზაძის გარდა **შვიდი კაცი კიდევ დაუჭერიათ.** ერთი არის ადგილობრივ სამინისტრო სასწავლებლის მასწავლებელი—სომეხი, დავით ხახანოვი.

◆ **დ. სურამში კენჭის ამოღება** დაიწყება 26 ოქტომბერს.

◆ 11 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე **საპოლიციო უბნის ზედამხედველის მიხეილ ალიმოვისა,** რომელსაც ქალის გალახვა ბრალდებოდა, თანამდებობის აღსრულების დროს. სასამართლომ ორი თვით პოლიციაში დაპატიმრება მიუსაჯა.

◆ ამიერ კავკასიის-რკინის გზის მიმოსვლის ნაწილის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილია **კონდუქტორების ჯამაგირის მომატებაც:** სახალხო მატარებლების უფროსი კონდუქტორები უნდა იღებდნენ წელიწადში 480 მან. კონდუქტორ-ფერშლები და ბაგაჟები 360 მან., მეორე კლასის ტორმოზისა 300 მან, საქონლის მატარებლების უფროსი კონდუქტორები 420 მან. საბარგო—360 მან. ტორმოზისა—300 მან. მესამე კლასის ტორმოზისა—245—260 მან. ამ სმეტის დამტკიცება დამოკიდებულია რკინის გზათა მთავარ-გამგეობისა და სახელმწიფო საბჭოსაგან.

◆ ტფილისის საშუალო სასწავლებლის ქართველ მოწაფეთა მშობლებმა ნამესტნიკთან შუამდგომლობა აღძრეს, რომ სამღვთო სჯულის სწავლება სკოლებში სწარმოებდეს ქართულს ენაზე. ამ კითხვის შესახებ ნამესტნიკმა თავისი აზრი მოსთხოვა ექსარხოსს; ექსარხოსმა აცნობა, სინოდის შეუკითხავად მაგ საკითხს შესახებ ვერას ვიტყვიო.

◆ ტფილისის დედათა მესამე გიმნაზიაში 50-დე ქართველი მოწაფეა, რომელნიც **თხოულობენ სამშობლო ენის სწავლებას, მაგრამ გიმნაზიის მთავრობა არ აკმაყოფილებს.** ერთერთ საბუთად მოჰყავს ის, რომ ქართველ მოწაფეთა რიცხვი მცირეაო.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა **ნება დართო ხონის საოსტატო სემინარიის** მთავრობას, მიიღონ გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, იმ პირობით კი, რომ მათი რიცხვი ათ კაცს არ აღემატოსო.

◆ ამას წინად ქალაქის გამგეობამ დაადგინა: **ქალაქი მოვალე არ არის სადგომები მისცეს პატრულსაო.** გენერალ-გუბერნატორმა ეს დადგენილება ქალაქს უკანვე გაუგზავნა და აცნობა, რადგანაც ქალაქის ესეთი გადაწყვეტილება შეცდომაა, ეს საკითხი ხელმეორედ განიხილეთო.

◆ **ტფილისის მაზრის ბეითლების კრება,** მაზრის ზედამხედველის ბ-ნ ვოზნესენსკის თავმჯდომარეობით დასრულდა. კრების აზრი იყო—შემუშავება ამ პროგრამისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ბეითლებმა. ამავ კრებაზე კითხვა აღიძრა საქონლის ჭირზე და ის აზრი გამოითქვა, რომ საჭიროა ძალიან გაძლიერებულ იქმნეს საქონლის აცრა, რაც შეეხება საეჭვოდ ავადმყოფ საქონლის დახოცვას, კრებას ესეთი ღონისძიება უმნიშვნელოდ მიაჩნია.

◆ ბაქოს გენერალ-გუბერნატორს ცნობები მიუღია, **40 ცნობილი ყაჩაღი სპარსეთის საზღვრიდან გადმოვიდა** და ახლო-მახლო ადგილებს თავ-ზარი დასცაო. ამ ყაჩაღებს კაზაკებთან უკვე ჰქონიათ შეტაკება სადგურ ალბულახთან. სროლის დროს ყაჩაღებს მოუკლავთ ვახმისტრი და სამი ცხენი, მძიმედ დაუჭრიათ ერთი კაზაკი.

◆ გურია-სამეგრელოს სამღვდელოება ამჟამად **ქართულ ენაზე ასრულებს მიწერ-მოწერას** საეპარქიო კანცელარიასთან, რის გამოც ამ კანცელარიის გამგეს ავტონომოვს თარჯიმანი დაუჭერია.

◆ „ცნ. ფურც.“ სიტყვით ამ დღეებში ერთი **ახირებული და უცნაური ამბავი მოხდა.** ველიამინოვის ქუჩაზე, იუზბაშევის საკონდიტეროში მსახურებს კახელი იოსებ ბერიშვილი, რომლის ცოლიც, ბაგინოვის ქალი, ტომით სომეხია. ბერიშვილს ვაჟიშვილი ჰყოლია და ამ დღეებში მართლმადიდებელთა სარწმუნოების წესით მონათვლა განუზრახავს. დაუმზადებია ყველაფერი და, ის იყო, ნათლიასათვის უნდა შეეტყობინებინა, რომ დილით საკონდიტეროში მასთან შესულა ორი უცნობი სომეხი. ამათ უთქვამთ, ჩვენის „კომიტეტის“ გადაწყვეტილებით ნება არა გაქვთ თქვენი შვილი მართლმადიდებელ სარწმუნოების წესით მონათლოთ, რადგან ცოლი ტომით სომეხიაო. გაკვირვებულს ბერიშვილს უპასუხნია, ჩემს ცოლს სრული ნება აქვს თავის სარწმუნოებაზე მტკიცედ იდგეს, ხოლო შვილს ისე მოვნათლავ, როგორც მე მინდაო. ბერიშვილს მონათვლა ვერ მოუხერხებია, რადგან ნათლია ვერ უნახავს. ოთხი დღის შემდეგ ეს ვაჟბატონები ხელმეორედ მისულან და უთქვამთ, გიმეორებთ, კომიტეტის გადაწყვეტილება შეასრულეთო. ყოველ შემთხვევაში შვილი მოუნათლავი დასტოვეთ და, როცა გაიზრდება, თვითონ აირჩევს სარწმუნოებასაო.

◆ „ნოვ. ობოზ.“ პეტერბურგიდან **შემდეგი დეპეშა მიიღო:** „მწერალთა კრება შესდგა 17 ოქტომბერს. გთხოვთ ქართულსა და სომხურ პრესსასაც შეატყობინოთ“. ხელს აწერს ბ-ნი აშეშოვი.

◆ სოფ. ბაღდადში გზაზე მიმავალ კაზაკებს თავს დასცემია 11 **შეიარაღებული კაცი** და სროლა აუტეხნია. მოუკლავთ ერთი კაზაკი და დაუჭრიათ ურიადნიკი. კაზაკებს თავის მხრივ მოუკლავთ სამი კაცი (ტ. ლ.).

◆ დღეს, 13 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე ავლაბრის თეატრში დანიშნულია **რუსული წარმოდგენა** ზ. ბ. ოსეტროვის რეჟისორობით. წარმოდგენილი იქმნება ცნობილი პიესა „ვანიუშინის შვილები“. მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი პავლოვა-ოსეტროვა, დოლინი, მუსინა, იაკორსკაია და სხ. ბ-ნები ოსეტროვი, დარიალოკ-დოლსკი, გრიგორიევი, ჩერნიაევი, ბორისოვი და სხვანი. ბოლოს წარმოდგენილი იქნება ერთმოქმედებიანი კომედია ზ. ბ. ოსეტროვისა „მანია გროსსი“.

◆ 5 ოქტომბერს, სოხუმში თავს დასცემიან კაზაკებს, რომელნიც დიდ მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის სააგარაკო სახლს სდარაჯობენ, ამტყდარა თოფის სროლა, მაგრამ არავინ დაშავებულა („ნ. გ.“).

◆ „ჩერნ. ვესტ.“ სიტყვით, 8 ოქტომბერს ოზურგეთში მისულა პლასტუნთა ერთი ასეული, აქ დაბანაკებული კურინის პოლკის ერთი ნაწილი კი სხვაგან გადაუყვანიათ.

◆ პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის შენობის ამგებმა მოიჯარადრეებმა დაასრულეს ამ შენობის აგება და ფული-კი სრულად ჯერ არ მიუღიათ, რადგანაც ქალაქს ფული არა აქვს. მოიჯარადრეებს ერგებათ 2391 მან. საზოგადოდ, ამ შენობაზე დიდი ფული დაიხარჯა, ბევრად მეტი იმაზე, რაც ხარჯთ აღრიცხვაში იყო ნაანგარიშევი.

◆ ქალაქის გამგეობის წევრმა ნ. ე. არღუთინსკიმ საკითხი აღძრა **ქალაქის ცუდად** განათების შესახებ. მისი აზრით, ღამით ქალაქში იმის მეოთხედი სინათლე არ არის, რამდენიც უნდა იყოს „ვაშინგტონ“-ისა და „სვეტ“-ის ფირმებთან დადებულ პირობის ძალით. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: წინადადება მისცეს ამ ფირმებს, რომ განათება უკეთესად მოაწყონ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმებულნი იქმნებიან.

◆ სოფ. მეგვიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ: ამ სოფელში ძალიან მშვიდობიანი მოძრაობაა, მაგრამ 5 ოქტომბრიდან 45 კაზაკი მაინც ჩააყენეს. თან აქვთ სია საეჭვო პირობისა. ბევრი საეჭვო პირი გასჩხრიკეს, მაგრამ ვერა იპოვეს-რა. ერთს კაცს უპოვეს მხოლოდ ორი დაჟანგებული თოფი და წაართვეს. კაზაკები სოფლის ხარჯზე არიან.

◆ გუშინ ტფილისში ჩამოვიდა ფოთის ქალაქის მოურავი, ნ. ნიკოლაძე.

◆ გაზეთ „ბაქო“-ს სიტყვით, ბაქოში ქარხნის პატრონი მირზაბეკიანცი, როგორც იყო, მოურიგდა მის ქარხანაში მომუშავე მაჰმადიან მუშებს. მირზაბეკიანცმა მისცა ერთად მუშებს 200—700 მანათამდე თითოს, სულ 150,000 მანათი და ამით ბოლო მოუღო იმ უწესოებებს, რომელიც ამ ქარხანაში ხდებოდა და ზოგჯერ სისხლის ღვრასაც იწვევდა.

◆ 12 ოქტომბერს გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია საქმეების განხილვას შეუდგა. სესია გორში 20 ოქტობრამდე დაჰყოფს, გასარჩევი აქვს 16 საქმე.

◆ ტფილისის გენერალ-გუბერნატორს ამჟამად აყარებული ხალხი იარაღის ტარების ნება-რთვასა სთხოვს. გუბერნატორი ყველას უარს ეუბნება, გარდა მოხელეებისა.

◆ გუშინწინ, 11 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, მუხრანის ქუჩაზე მოჰკლეს მჭადიჯვრელ მემამულის თ. დ. მუხრანსკის მოურავის მეუღლე, რომელიც ფაქტიურად მოურავად ითვლებოდა.

◆ ნოვობაიაზეთიდან გვატყობინებენ, რომ 11 ოქტომბერს ღია ფანჯრიდან თოფი ესროლეს ადგილობრივ ბოქაულს მაჩანსკის, მაგრამ ვერ მოარტყეს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ დაადგინა მუშათა გაფიცვის თავიდან ასაცილებლად ზამთარშიაც ის საკმაო ფასი მისცეს მუშებს, რასაც ზაფხულში აძლევდა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ქალაქის შემოსავლის სიმცირის გამო, მოსარწყავ ქუჩათა რაცხვი შეამციროს.

◆ ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას: წინაღმდეგი არა ვარ, რომ ექიმმა ალ. აბრ. ხარაზოვმა ქალაქის საავადმყოფოს ცენტრალურ განყოფილებაში იმუშავოსო.

◆ **კავკასის რკინის გზაზე გაფიცვის გამო**, რკინის გზის უფროსი ივანოვსკი გზიდან ისევ ტფილისს დაბრუნდა.

◆ გუშინ საგუბერნიო საამშენებლო გამგეობამ ქალაქის გამგეობას გამოუგზავნა საჩივარი პეტროვისა და ბაზრის ქუჩების მცხოვრებლებისა ამ ქუჩების მოკირწყვლის დაგვიანების შესახებ.

◆ საოლქო სასამართლოს სესია დ. შულავერში ამ თვის ოცში მიემგზავრება.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა მერვე მორიგე კრება.

4 ოქტომბერს, სხდომის დაწყებისთანავე, კრება შეუდგა პროგრამის მეშვიდე მუხლის განხილვას, რომელიც შეეხება ჭიათურაში ახალ სამრეწველო გზების გაყვანას, ან ძველების შეკეთებას. ამ კითხვის შესახებ მოხსენებას კითხულობს საბჭოს წევრი ი. ბ. ნიჟარაძე.

კრებამ ერთხმად დაადგინა: არჩეულ იქმნას კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს გასაყვან, ან შესაკეთებელ სამრეწველო გზების დათვალიერება და იმის განსაზღვრა, თუ რომელი გზა უნდა გაკეთდეს პირველად, მეორედ და სხ. კომისიაში არჩეულ იქმნენ ი. ბ. ნიჟარაძე, ზ. გაჩეჩილაძე, ი. პ. კაკაბაძე, ს. აბესაძე, გ. ს. მოდებაძე და დეკანოზოვი; კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულ იქმნა გ. ს. მოდებაძე.

აქ კრებას გაახსენეს, რომ დაავიწყდათ იმ კომისიის თავმჯდომარის არჩევა, რომელსაც მინდობილი აქვს რკინის გზით შავი-ქვის გადაზიდვის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ი. გ. აბაშიძე.

კრება გადადის პროგრამის მერვე მუხლზე, რომელიც შეეხება შავი-ქვის მრეწველთა მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ საგნის შესახებ წაკითხულ იქმნა საბჭოს წევრის გ. ი. ცერცვაძის მოხსენება.

ი. გ. ბელიაშვილი საჭიროდ სცნობს, აღიძრას შუამდგომლობა, რომ მუშების წარმომადგენელთ ნება მიეცეთ კრებაზე დასწრებისა; რომ ჭიათურაში აშენებულ იქმნეს მუშებისათვის ღამის სათევი სახლი, ჭიქურაში კი იაფი სასადილო; რომ უკეთესად მოეწყოს ჭიათურაში საკვირაო სკოლის საქმე და გამოიცეს ჭიათურაში ერთი ქართულ-რუსული გაზეთი.

კრებამ ერთხმად მიიღო ბ-ნ ბელიაშვილის წინადადება შესახებ იმისა, რომ აღიძრას შუამდგომლობა, რომ მუშების წარმომადგენელთ ნება მიეცეთ მრეწველთა კრებაზე დასწრებისა.

მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ დიდხანს ილაპარაკეს ბ-ნთ მოდებაძემ, ზდანოვიჩმა, პ. გ. წულუკიძემ და სხ. ყველანი ამტკიცებდნენ, საჭიროა მდგომარეობის გაუმჯობესება, მათ შეიგნეს თავისი კანონიერი უფლებანი და სრულიად სამართლიანად მოითხოვენ მათს დაკმაყოფილებას.

გ. ფ. ზდანოვიჩმა მოახსენა კრებას, ფოთის მუშებისაგან მოგვივიდა თხოვნა; ისინი თხოულობენ, რომ მათთვის ფოთში კრების ხარჯით აშენებულ იქნეს აბანო, საავადმყოფო და 24—ოთახიანი საცხოვრებელი სახლი. საჭიროა კრებამ გადაწყვიტოს, ვალდებულად სთვლის ის თავის თავს დააკმაყოფილოს ფოთის მუშების თხოვნა, თუ არაო.

ი. გ. ბელიაშვილი იმ აზრისაა, რადგან ფოთის მუშებს დამოკიდებულება აქვთ ჩვენს მრეწველობასთან (შავი-ქვით დატვირთულ ვაგონებს სცლიან და შემდეგ ამ ქვით გემებს ტვირთავენ), ამიტომ მათი თხოვნა უნდა დავაკმაყოფილოთო.—ასე რომ ვიანგარიშოთ, როტტერდამელ მუშებსაც აქვთ დამოკიდებულება ჭიათურის შავ-ქვასთან, და, მაშ, მათაც უნდა ავუშენოთ როტტერდამში აბანოები და საავადმყოფოები, სთქვა ბ-ნმა ზდანოვიჩმა.

პ. გ. წულუკიძე იმ აზრისაა, რომ ფოთელ მუშებისათვის აბანოების, საავადმყოფოებისა და სადგომების აშენებაზე უნდა იზრუნოს ფოთის ქალაქის თვითმართველობამ, რომელიც შავ-ქვაზე საფუთო გადასახადს იღებს და კარგი შემოსავალი აქვსო, და არა ჩვენმა კრებამ, რომელსაც უსაშუალობის გამო, ჭიათურის მუშების კანონიერი მოთხოვნილებებიც ვერ დაუკმაყოფილებიაო.

სხდომა რამდენსამე წამით შეწყდა. სხდომის განახლების შემდეგ ი. გ. აბაშიძემ წინადადება მისცა კრებას ფეხზე წამოდგომით პატივი ეცა გარდაცვალებულის მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ტრუბეცკოის ხსოვნისათვის და სამძიმრის დეპეშები გაეგზავნა განსვენებულის მეუღლის და მოსკოვის უნივერსიტეტისათვის. ტრუბეცკოის გარდაცვალებით რუსეთმა დაჰკარგა ერთი საუკეთესო საზოგადო მოღვაწეთაგანი..

თავმჯდომარე ნებას არ აძლევს ბ-ნ აბაშიძეს განაგრძოს სიტყვა... კრებამ ერთხმად მიიღო ბ-ნ აბაშიძის წინადადება. თავმჯდომარე უბრუნდება შეწყვეტილ კითხვის განხილვას და წინადადებას აძლევს კრებას გამოსთქვას თავისი აზრი ღამის-სათევ სახლების აშენების შესახებ. ბ-ნი ერქომაიშვილი საჭიროდ სცნობს აშენდეს ორი ღამის-სათევი სახლი. ერთი ბათომში და მეორეც ჭიათურაში.

კრებამ 27 ხმის უმეტესობით 7 ხმის წინაღმდეგ, დაადგინა: აშენდეს კრების ხარჯით ერთი ღამის-სათევი სახლი სოფ. ჭიათურაში 100 მუშისთვის.

წამოყენებულ იქმნა კითხვა მუშებისათვის სასადილოების დაარსების შესახებ. როგორც სასადილოების გამგე კომიტეტის წევრმა ს. დ. ჯაფარიძემ განაცხადა, სასადილოებიდან კრებას ზარალი მოსდის; ერთი თვის განმავლობაში, მაგალითად, სასადილოს შესანახად კრებას დასჭირებია 1192 მან. 41 კაპ., იმავე დროს შემოსავალი ჰქონია 958 მან. 31 კ., ასე რომ—ხარჯებს 234 მან. 15 კ. გადუჭარბებია შემოსავლისთვის. კრებამ, მიუხედავად ამ ზარალისა, ერთხმად დაადგინა: გაიხსნას ჭიათურაში ერთი იაფი სასადილო მრეწველთა კრების ხარჯით; ამასთანავე იმ ზარალის დასაფარავად, რომელიც შესაძლებელია მოიტანოს სასადილოებმა, გადადებულ იქმნას საბჭოს განკარგულებაში საჭირო თანხა. ამ თანხის რაოდენობის შესახებ კრებას სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის დროს ექმნება მსჯელობა.

გ. ს. მოდებაძემ აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ სასადილოებში მუშებისათვის ვახშამსაც ამზადებდნენ.

კრების უმეტესობა საჭიროდ სცნობდა მუშებისათვის ვახშამის მზადებას, მაგრამ, რადგან ის კიდევ ახალ ხარჯებს გამოიწვევდა, კრებამ ამ კითხვის განხილვაც ხარჯთაღრიცხვის განხილვამდე გადასდო.

შემდეგ კრებამ დაადგინა: აშენდეს მაღნებში მუშებისათვის საცხოვრებელი სახლები მრეწველთა კრების ხარჯით, მხოლოდ ეს ხარჯი შემდეგ მრეწველთაგან უნდა დაუბრუნდეს კრებას. ეს სახლები უნდა გაქირავდეს, მაგრამ ქირის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სახლების აშენებაზე გაწეულ ხარჯებისა და მათ შესანახ მუდმივ ხარჯების რაოდენობის 5%-ს; სახლებისათვის ადგილების ამორჩევა მიენდო საგზაო კომისიას. რაც შეეხება სახლების რიცხვის განსაზღვრას, ამ კითხვის გარდაწყვეტაც კრებამ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამდის გადასდო.

ცოტა ხნით სხდომის შეწყვეტის შემდეგ კრებამ განიხილა ბ-ნ კაკაბაძის წინადადება უღელ სოფელში აბანოს აშენების შესახებ. კრებამ ერთხმად საჭიროდ სცნო აბანოების აშენება და მიანდო საგზაო კომისიას აბანოების ასაშენებლად მოხერხებულ ადგილების ამორჩევა. აბანოების რიცხვის განსაზღვრაც გადადო ხარჯთ აღრიცხვის განხილვამდის.

სხდომის დასასრულს კრებას მოხსენდა სამთო დეპარტამენტის საპასუხო დეპეშა, საიდანაც სჩანს, სამინისტროს შეუწყნარებია კრების შუამდგომლობა და ნება დაურთავს მისთვის მსჯელობა იქონიოს საფუთო გადასახადის მომატების შესახებ.

ისარა.

რუსეთი

4 ოქტომბერს ნევის ქარხნის მუშები გაიფიცნენ. გაფიცულებმა არავითარი მოთხოვნილებანი არ წარუდგინეს ქარხნის ადმინისტრაციას და დაიშალნენ. ამავე დროს გაიფიცნენ პალისა და სხვა ქარხნების მუშებიც. ყველა ამათ თავი მოიყარეს პეტერბურგის განაპირა უბანში. ხალხში ვიღამაც ხმა გაავრცელა, გვარდია და კაზაკები მოდიან ჩვენ გასაფანტადო. მუშებმა მაშინვე ტრამვაის ორი ვაგონი შეაჩერეს, გადმოაბრუნეს, ქუჩაზე გარდი-გარდმო დასდეს და **ბარიკადა გამართეს**. მართლა მალე ცხენოსანი გვარდიელებიც გაჩნდნენ. მუშებმა ქვა, ჯოხი და ტყვია დააყარეს სალდათებს. გვარდიელებს კაზაკები მოეშველნენ და მუშები გაჰფანტეს. მოკლული და მძიმედ დაჭრილი არავინ არის, ხოლო დაშავებული და მსუბუქად დაჭრილი ბევრია (რ. ვ.).

◆ წარსულ ომის დროს, პორტ-არტურში ერთი ებრაელი ექიმი მუშაობდა. ციხის აღების შემდეგ, ამ ექიმმა მშვიდობიანობის დროსაც სამხედრო ექიმობა ითხოვა, მაგრამ ვერ მიიღო, რადგან, **რუსეთში არსებულ კანონით**, ებრაელი ექიმი მოვალეა ომის დროს ბრძოლის ველზე წავიდეს და ავადმყოფები და დაჭრილები არჩინოს, ხოლო მშვიდობიანობის დროს მას ნება არ ეძლევა ავადმყოფ სალდათების მოვლისა (რ. ვ).

◆ 5 ოქტომბერს მოსკოვის სასამართლოს დარბაზში **ვექილთა კრება** იყო. საღამო ჟამზე დარბაზში შემოვიდნენ პოლიცმეისტერი, ბოქაული და პოლიციელნი და კრების დაშლა მოითხოვეს. კრების თავმჯდომარემ, ვექილმა ვინავერმა განაცხადა, ადგილიდან არ დავიძვრებითო, და ორატორს უთხრა, სიტყვა განაგრძეთო. პოლიცმეისტერმა დარბაზში ორმოცი პოლიციელი შეიყვანა და ჩაამწკრივა. ორატორმა ლაპარაკი განაგრძო. პოლიცმეისტერმა ერთხელ კიდევ განაცხადა, თუ არ დაიშლებით, ძალას ვიხმარებო. კრებამ ამას ყურადღება არ მიაქცია. პოლიცმეისტერის ბრძანებით, პოლიციელებმა დარბაზიდან ძალით გაიყვანეს მოლაპარაკე. ვექილებმა მოითხოვეს, დაპატიმრებული გაანთავისუფლეთ და დავიშლებითო. დაპატიმრებული გაანთავისუფლეს. ვექილები დარბაზიდან გავიდნენ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ვექილის პრჟევალსკის სახლში შეიკრიბნენ და კრება განაგრძეს. ცოტა ხნის შემდეგ აქაც მოვიდა პოლიცია და დიასახლისი გამოიწვია. ვექილებმა უპასუხეს, არც დიასახლისი გამოვა და არც ვინმე ჩვენგანიო. ბოქაული თვითონ შევიდა დარბაზში და განაცხადა, ნაბრძანევი მაქვს კრება დავშალო, მაგრამ თუ თქვენი ნებით არ დაიშლებით, ძალას ვიხმარებო. ვექილები არ დაემორჩილნენ და კრება განაგრძეს, მაგრამ როცა გამოირკვა, რომ პოლიცია ძალაზეა, დაიშალნენ, იმ პირობით კი, რომ პოლიცია წავა და დიასახლისს ხელს არ ახლებენ. პოლიცია წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ვექილებიც გამოვიდნენ და მესამე ალაგას, ვექილ მაკლაკოვის სახლში შეიკრიბნენ. პოლიციამ ბევრი ეძება კრების ალაგი, მაგრამ ვერ იპოვა. ვექილებმა, რაც საქმე ჰქონდათ, გააკეთეს და დაიშალნენ (რ. ვ.).

◆ განთქმულ მეცნიერსა და დამსახურებულ პროფესორს მ. კოვალევსკის პეტერბურგის უნივერსიტეტში ფსიხოპატოლოგიის ლექციების წაკითხვა უნდოდა, მაგრამ საერო განათლების მინისტრმა **ნებართვა არ მისცა** (ნ.).

◆ ამ წლის გაზაფხულს პეტერბურგის გენ.-გუბერნატორმა დაკეტა იურიდიული საზოგადოება, რომელმაც **უარი სთქვა** ყოველ კრების პროგრამის წარდგენაზე და ხალხის გაძევებაზე. ამჟამად ამ საზოგადოების წევრნი ისევ შეკრებილან და მოულაპარაკნიათ. მოსპობილ საზოგადოების აღდგენის შესახებ (ნ.).

◆ **პრესსის თავისუფლება.** სახუმარო ჟურნალი „ზრიტელი“ შინაგან საქმეთა სამინისტრომ **სამუდამოთ მოსპო.** ამ ჟურნალის უკანასკნელი ნომერი პოლიციამ **დააპატიმრა** (ნ. ჟ.).

◆ კრასნოიარსკის მცხოვრებმა სავინმა ქალაქის საბჭოს განუცხადა, ორი წლის განმავლობაში მე და ჩემი მემკვიდრენი წელიწადში 5 ათას მანეთს შევწირავთ **სახალხო უნივერსიტეტს** ოღონდ ქალაქმა იკისროს და ამ უნივერსიტეტის ასაშენებლად საჭირო თანხა მოსძებნოსო (ს. ო.).

◆ „მ. სკ. ვედ.“ ასე ასწერს თავ. ს. **ტრუბეცკოის დამარხვას**: „დილიდან საღამომდის პოლიცია არსად ჩანდა. წეს-რიგს თვითონ სტუდენტები იცავდნენ. ხალხი რამდენიმე ვერსზე გაიჭიმა. კუბოს წინ გვირგვინები წითელი იყო და ლენტებიც წითელი ჰქონდათ. ერთს დიდი სარი მიჰქონდა. ზედ დიდი წითელი ლენტები ეკიდა. დილიდან საღამომდის კუბოს უკან მიმავალი ხალხი სარევოლუციო სიმღერებს ამბობდა და მხოლოდ ლოცვის კითხვის დროს ჩუმდებოდა. ღირიჟორობა ბევრმა იკისრა, ისიც დიდ ჯოხებით. სასაფლაოზე რომ მივიდნენ, უკვე ბნელოდა. ჩირაღდნებით განათებულ საფლავის წინაშე რამდენიმე საათის განმავლობაში სიტყვებს ამბობდნენ. რამდენიმე ათასი კაცი ყურს უგდებდა. იმავე დროს სასაფლაოს კარებთან წითელი დროშა აუშვეს და სიტყვები დაიწყეს. წამდაუწუმ ხალხი ყვიროდა: „ძირს კაპიტალისტები! ძირს თვითპყრობელობა!“ ზემოხსენებული გაზეთი ასე ათავებს აწერილობას: „სარევოლუციო სიმღერებმა მართლმადიდებელ ქრისტიანებზე საშინელი, თავზარდამცემი შთაბეჭდილება იქონიეს“ (გ. ვ.).

◆ აგერ ოცი წელიწადია, რაც მთავრობამ დასაფლავების დროს გვირგვინების ხელით ტარება აკრძალა. უკანასკნელად გვირგვინები ხელით წაიღეს დოსტოევსკის დამარხვის დღეს. ახლა, თავ. ს. ტრუბეცკოის დამარხვის დროს, საზოგადოებამ 200-მდე გვირგვინი ხელით წაიღო. **პოლიციამ ვერაფერი გაარიგა** (ნ.).

სასამართლო

საქმე ბაქოს გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის მოკვლის შესახებ.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ვექილი **ბაიკოვი** ამტკიცებს, რომ ქერბალაი და აგალი ცრუ მოწმები არიანო. მათ ცრუ-მოწმობას ბაიკოვი თათართა და სომეხთა გადამტერებით ხსნის.

ბაიკოვის სიტყვის შემდეგ სხდომა მეორე დღისთვის გადაიდო.

1 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარე ეკითხება ბრალდებულებს, დამნაშავედ აღიარებთ თქვენ თავს თუ არაო?

ბრალდებული **მეირამოვი**: „ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ მაჰმადიანებმა ქერბალაიმ და აგალიმ იმიტომ მიცნეს, რომ ორჯერ მნახეს გამომძიებელ დუბროვსკისთან, და ჯაშუშმა სტრელკოვმაც იმიტომ დამიჭირა. „მე დამნაშავე არა ვარ“.

ბრალდებული **ზიალიანცი**: „12 მაისს ბაქოდან დროებით წაველი და ბარგი ამიტომ დავტოვე ბაქოში. მე დამნაშავე არა ვარ“.

ბრალდებული **აგანასიანცი**: „ყუმბარის აფეთქების დროს თუმანოვთან ვიყავი. ამას თქვენთანაც ვიმეორებ და ღვთის წინაშეც გავიმეორებ. მე დამნაშავე არა ვარ“.

ბრალდებული **სახკიანცი**: „ყუმბარის აფეთქების დროს ჯანიანცის რკინის საწყობში ვიყავი. მე დამნაშავე არა ვარ“.

ბრალდებული **არუთინოვი**: „ყუმბარის აფეთქების დროს თეთრ ქალაქში მანთაშევის ქარხანაში ვიყავი. ეს ქარხანა 8 ვერსით არის დაშორებული იმ ადგილს, სადაც ნაკაშიძე მოჰკლეს. მე დამნაშავე არა ვარ“.

9 საათსა და 50 წუთზე მოსამართლენი განაჩენის შესადგენად გავიდნენ. დიდხანს ითათბირეს. განაჩენი 4 საათსა და 45 წუთზე გამოაცხადეს. სასამართლომ სიონ ზიალიანცს, გიორგი მეირამოვს, პეტროს სახაკიანცს, ლევონ არუთინოვსა და მინას აგანასიანცს გადაუწყვიტა ყოველივე ღირსება-უპირატესობის ჩამორთმევა და ჩამორჩობა.

ვექილი **ზარუდნი**: „გთხოვთ ოქმში ჩასწეროთ, რომ ბრალდებულებმა ჩვენ, აქ დამსწრე ვექილებს მათი საქმის განსაჩივრება და დაცვა მოგვანდეს“.

თავმჯდომარე ჰპირდება, თქვენი თხოვნა ასრულდებაო.

ვექილი **ზარუდნი**: „გთხოვთ ისიც ჩასწეროთ ოქმში, რომ, როცა ჩვენ ვთხოვეთ სასამართლოს იმ ადგილის დათვალიერება, სადაც აფეთქება მოხდა, ერთმა მოსამართლემ გვიპასუხა, ის ადგილი უკვე ნანახი გვაქვს და მეორედ წასვლა საჭირო აღარ არისო“.

თავმჯდომარე: „მაგასაც ჩავწერთ ოქმში. მე მაშინვე განვაცხადე, რომ იმ ადგილის კერძო დათვალიერებას მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი“.

განაჩენი ბრალდებულთ 3 ოქტომბერს, დილის 9 საათზე გამოუცხადეს. ვექილები არ დაესწრნენ განაჩენის გამოცხადებას.

ზარუდნიმ და ბაიკოვმა ბაქოს სამხედრო სასამართლოს დადგენილება უკვე გაასაჩივრეს მთავარ სამხედრო სასამართლოში.

კორესპონდენცია

კახეთი. მართალია, ზოგიერთ მემამულეს გულის წადილი აუსრულდა, თელავის მაზრაში კაზაკ-რუსები დაბინავდნენ, მაგრამ ვერც ამათ გაუმთელეს იარა. ბევრს ეგონა, რომ კაზაკების დანახვაზე ფეხთა ქვეშე გაგვეგებიან და მოინანიებენ ცოდვათა თვისთაო, მაგრამ ამაშიაც ძრიელ მოსტყუვდნენ.

თუმცა პირველად, როცა კახეთში მოძრაობა დაიწყო, რამდენიმე სოფელში ეგზეკუცია ჩააყენეს, მერე

ფელეტონი

ხან-და-ხან

ჩვეულებრივი მოვლენა.—ჩვენი ავადმყოფი.—კითხვა-პასუხი.

ჩვეულებრივი მოვლენაა,—როდესაც ავადმყოფი სიკვდილის წინა დღეებში მოიხედავს ხოლმე, თვალებში სალაღ გამოიყურება, ლაპარაკსაც მოუმატებს და ჭამის მადაც ეხსნება. საწყალი ჭირისუფალი სიხარულით ცას სწვდება, ყველას უმახარობლებს თავის მძიმე ავადმყოფის მორჩენას და ესენიც, თუ არ ფლიდობენ ან საქმეში კარგად არ ჩაუხედიათ, ულოცავენ, „მადლი ღმერთსაო“!.. მხოლოდ უფრო დაკვირვებულნი და გამოცდილნი თავის ქნევით და მხრების აწევით უპასუხებენ: დაიცათ, ჯერ კიდევ ვინ იცის რა მოხდება!..

მართლაც, ხშირად ამათი ეჭვი მალე მართლდება. გადის რამდენიმე დღე და—იმავე ჭირისუფლებისაგან მოისმის გულ-შემზარავი მოთქმა-გოდება! რა მოხდა? რა იყო? ბუნებამ თავისი გაიტანა, ავადმყოფი უკანასკნელ დღეებში ერთხელ კიდევ დაეთხოვა თვისიან-სხვისიანებს, ერთხელ კიდევ მოაჩვენა თავი ყველას და... სამუდამოდ დახუჭა თვალები!.. ავადმყოფს გარეგნულად უკეთყოფნა დაეტყო, მარა მის განკურნებას სრულიადაც არ ნიშნავდა ეს,—პირიქით, მისთვის ძლიერ ცუდი ნიშანი ყოფილა!..

ცხოვრებაშიაც ეგრე ხდება. როდესაც რომელიმე საზოგადოებრივი ელემენტი დროთა ვითარების ბრძანებით სიკვდილის გზაზეა დამდგარი, ის თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მთელ თავის ძალღონეს იკრებს არსებობის, სიცოცხლის შესარჩენად, თავის პოზიციების შესამაგრებლად!.. ის იქ ყოველ საშუალებას ხმარობს თავის დასაცველად, იბრძვის, ებმება მოძრაობაში, მოქმედებაში, სიცოცხლეში!.. გარეშე მაყურებელს ჰგონია: ვინ თქვა, ვინ მოაჭორა, რომ ესა და ეს ელემენტი გაქრობის, მოსპობის გზაზეა შემდგარიო! აბა, დაინახეთ მისი საქმიანობა, მისი უნარი!.. ეს ხომ ნამდვილი სიცოცხლის მატარებელი და მამოძრავი ელემენტიაო!

მარა საკმარისია ცოტაოდენი დაკვირვება, რომ ასეთ ყალბ შეხედულებას გარეშე მაყურებლისას თანდათან ნიადაგი გამოეცალოს და შემდეგ სრულებით ბოლოც მოეღოს. ბუნების კანონის წინააღმდეგ ვერავინ წავა, ისტორიის ჩარხის უკანვე დაბრუნება შეუძლებელია, ეს ადამიანის ყოველ ძალღონეს აღემატება!

⁂

დიაღ, „მოიხედა ავადმყოფმა“! წამოჰყო თავი მომაკვდავმა! დააბრიალა მან თავისი სიკვდილის გამომეტყველი თვალები!.. მადაც მოულონიერდა ჩვენს ავადმყოფს და ლაპარაკსაც უმატა!.. მე, რასაკვირველია, ჩემი პატარა გამოცდილებით ვიცი, რომ ყველა ეს მისი სიკვდილის მომასწავებელია და მე სრულიადაც აღარა მაქვს ჩვენი ავადმყოფის გამობრუნების იმედი, მარა მას ჰყავს ჩვენში ჭირისუფლები და, აი, ესენი არიან დიდ სიხარულში, მიწას ფეხს აღარ აკარებენ და სულ ერთმანეთის მილოცვა-მოლოცვაში არიან! დღეს მისი მოცუნდრუკე ჭირისუფლები გუშინ საცოდავი სანახავი იყვნენ: პირ-მოქუშულნი, სახე-დაღვრემილნი, შუბლ-დანაოჭებულნი — სახეზე სიკვდილის ელფერი დაჰკრავდათ და პირში ნერწყვ-გამშრალნი თავის სოროებს ეძებდნენ!.. მარა მას შემდეგ, რაც ჩვენს ავადმყოფს მიქელ-გაბრიელი გამოეცხადა, საქმეთა მდგომარეობა ცოტათი შეიცვალა და მისი ჭირისუფლებიც ამოძრავდნენ, გამოცოცხლდნენ, იმედი მიეცათ და სიხარულსა და განცხრომას ძველებურად ჩაუტრიალდნენ!.. საკვირველია, რომ ჩვენს ავადმყოფს არ უგრძნია იმდენი უკეთესობა, რამდენიც ამათ იგრძნეს და თავის სასარგებლოდ გამოიყენეს!.. ღვთის მოყვარე და კეთილ-მორწმუნე ავადმყოფმა და მისმა ჭირისუფლებმა სულის ამომრთმევს შეჰღაღადეს: დაგვაცათ, რომ უკანასკნელი „მამაო ჩვენო“ წარმოთქვას ავადმყოფმაო. გულ ლმობიერმა მიქელ-გაბრიელმაც დაუთმო ჩვენი ავათმყოფის სურვილს, უკანასკნელმაც ასარგებლა დათმობით და დღეს ლოცულობს „მამაო ჩვენოს“, მარა ისე კი, რომ წელიწადში თითო სიტყვის მეტს როდი ამბობს!..

მოტყუვდა მიქელ-გაბრიელი!—ფიქრობს, ამ უძლურმა რა ოინი მიყოვო!.. ჩვენი ავათმყოფიც—გადის ერთი წელიწადი და ამბობს „მამაო“, გადის მეორე და ამბობს „ჩვენო“ და სხვა!... ცხარობს მოტყუებული მიქელ-გაბრიელი, ბრალს ადებს თავის ლმობიერებას, თავის „თანდათანობას“... ხარობენ ავათმყოფის ჭირისუფლება და მიქელ-გაბრიელს ნიშნს უგებენ!... მაგრამ როდემდის?

⁂

არ ვიცი აგრეთვე, როდემდის უნდა იჩხრიალოს ზოგის ბამბამ და ზოგის კაკალმაც კი არა!

სანამდის უნდა გვქონდეს პირი მოკუმული, მარჯვენა გაშეშებული, კალამი დავარდნილი, ენა ჩავარდნილი, გული მოკლულ-მოშხამული, ტვინი მოწამლული; სანამდის უნდა თარეშობდეს ბელზებელის მოურავი თავის რაშით ადამიანის სულსა და გულზე, ადამიანის რწმენასა და მიმართულებაზე, მის აზრსა, მის სიტყვაზე?..

— აზრის, რწმენის და სიტყვის თავისუფლებამდე!..

სანამდის უნდა იყოს ყოველი ერი, და მათ შორის ქართველი, ჩაწიხლული, გათელილი, უფლება ახდილი, ენა ამოგლეჯილი, გულ-ღვიძლ დაწეწკნილი, სამართალ წართმეული, არარად შერაცხილი, გასათქვეფად და ჩასაყლავად მსჯავრდადებული?..

— ერის გამოფხიზლებამდე, ეროვნულ უფლებათა შეგნებამდე და მათ აღდგენამდე!..

სანამდის უნდა ითამაშონ „მოგზაურელებმა“ ასკინკილა და წაჯიქ-უკუჯიქობის კომედია, სადაც პირველ მოქმედებაში ერი, ენა, სამშობლო ფიქციათაა დასახული, ხოლო მეორე მოქმედებაში კი ფაქტათ, ე. ი. პირველ დებულების უარყოფა?

მათ აზროვნებაში დიალექტიკის მეფობის დასრულებამდე!..

სანამდის უნდა...

მაგრამ ეჰ! კითხვები ბევრია, ზედ პასუხებიც, მხოლოდ თქვენ ასრულება მიჩვენეთ, ასრულება!..

დ. ჭოლეველი.

ინგლის-იაპონიის კავშირი და რუსეთი.

პორტსმუტის ხელშეკრულობამ იაპონელთა პატრიოტებს სავსებით შეუსრულა სურვილი: ფაქტიურად იაპონია მთელ აღმოსავლეთის აზიაში გაბატონდა და აზიის სახელმწიფოთა მმართველიც გახდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ინგლისმა და იაპონიამ მთელი აზია შუაზე გაიყვეს და ამიერიდან მათ დაუკითხავად ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაბედავს აზიაში რომელიმე საქმის დაწყებას. ინგლისის მძლავრი ფლოტი და იაპონიის მედგარი ჯარი, ხელიხელ ჩართულნი, აზიის საქმეში ჩარევის ნებას არავის მისცემენ. გერმანიასა და საფრანგეთს იმ დრომდის ექნებათ თავიანთი კოლონიები აზიაში, სანამ ან ინგლისს არ წაეჩხუბებიან, ან იაპონიას. რუსეთი ძალაუნებურად ან სამუდამოდ, ან დიდი ხნით მაინც შორეულ აღმოსავლეთსა, შუა აზიას და დიდ ოკეანეში მოქმედებაზე ხელს აიღებს. ეს ორი სახელმწიფო ასეთივე წინააღმდეგობას გაუწევს რუსეთს ინდოეთთან, ტიბეტში, სპარსეთის სრუტესთან და თურქესტანთან. მას შემდეგ, რაც მანჯურიაში და დიდ ოკეანეში რუსეთმა თავის სახელი დამარხა, ევროპის აზრიც შეიცვალა ოდესღაც მძლავრ ჩრდილოეთის მდევზე. მოხდა ის, რასაც არც რუსეთი ელოდა და არც ევროპა: ხანგრძლივ და მედგარ ბრძოლის შემდეგ რუსეთი ხმელეთზედაც დამარცხდა და ზღვაზედაც. თვრამეტი თვის განმავლობაში რუსეთის ჯარი იაპონიის ჯარს ებრძოდა და განუწყვეტლივ მარცხდებოდა. რუსეთის ჯარს სიმრავლეც კი ვერ შველოდა; რუსეთმა დიდის გაჭირებით აურიცხველ ჯარს მოუყარა თავი, მაგრამ მუკდენთან ეს ჯარიც დამარცხდა; რუსეთმა მთელი თავისი ფლოტი შეაგროვა და შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნა, მაგრამ ცუსიმასთან განადგურდა. პირველ ხარისხოვან სახელმწიფოს„მას შემდეგ, რაც იაპონელებმა დაგვამარცხეს, ყველას თითქო შევუყვარდითო ამბობენ რუსები: ამერიკელებმა სიყვარული გამოგვიცხადეს, ინგლისი მზად არის მოგვერიგდეს (რასაკვირველია, თავის სასარგებლოდ), გერმანია და საფრანგეთი კი ქიშპობენ და ჩხუბობენ რუსეთის ფინანსების გამო. ჩვენ „პატრიოტებს“ კი ჰგონიათ, რომ ამერიკამ და ევროპამ ოფიციალურ რუსეთის ძალა და მნიშვნელობა მხოლოდ ახლა შეიგნეს და გვაფასებენო. პორტსმუტის ხელშეკრულობამ რუსეთის ბიუროკრატიას თავის დამარცხება დაავიწყებინა; ახლა ეს ბიუროკრატია ისე ლაპარაკობს, თითქო ის იყოს გამარჯვებული და არა იაპონია“-ო.

პორტსმუტის ხელშეკრულობის მთავარი ავტორი ს. ვიტტე ისე დაბრუნდა რუსეთში, როგორც გამარჯვებული სარდალი ბრძოლის ველიდან. გზა-და-გზა ამერიკისა, საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობებმა დიდი ნადიმები და სადილები გაუმართეს და ისე მიიღეს, როგორც უძვირფასესი და იშვიათი სტუმარი. მერე რად, ან რა მიზეზით? იმიტომ, რომ დღეს თუ ხვალ ვიტტეს მინისტრ-პრეზიდენტის პორტფელს ჩააბარებენ. ყველას იმედი აქვს, რომ ცეცხლ-მოკიდებულ რუსეთს გამოჰგლეჯავს რასმეს. აი, სწორედ ამიტომ გვევლებიან თავს ევროპიელები და ამერიკელებიო. ვიტტესა და „პატრიოტებს“ კი ჰგონიათ, რომ ევროპას წინანდებურად უნდა რუსეთთან დამეგობრება. რუსეთს არ შეუძლიან ამოდენა მიწა-ადგილისა და საქმეების მოვლა, მაგრამ რა უშავს, განა ევროპა არ უშველის? ყველაზე მეტად გერმანია ცდილობს და ისე გვიშველის, როგორც ჩინეთს და ოსმალეთს შველოდა. ერთ დროს გერმანიის იმპერატორი წამდაუწუმ კითხულობდა, როგორ არის სულთანიო, და ყოველნაირად ცდილობდა სულთანთან და იმის ნაზირ-ვეზირებთან დამეგობრებას. ამ მეგობრობიდან ბოლოს ის გამოვიდა, რომ გერმანიის იმპერატორმა თავის ქვეყნის კაპიტალისტებს მშვენიერი ლუკმები უშოვნა მცირე აზიაში. გერმანიას ძალიან უხაროდა ჩვენი და იაპონიის შებმა და ახლაც ცდილობს რაღაც საქმეებში ჩაგვაბას და ინგლისის წინააღმდეგ აგვამხედროსო.

უცხოელ სახელმწიფოთა მეთაურებს რუსეთის განახლება არა სწამთ და ძალიან ცდილობენ, ეს განახლება არ გვეწეოს. უცხოელ კაპიტალისტებსა და ვაჭრებს ძალიან უნდათ გვერდით ისეთი უზარმაზარი და მოდუნებული სახელმწიფო იქონიონ, როგორიც რუსეთია, სადაც მთავრობა მუდმივ ბრძოლაშია ხალხთან, სადაც უკანტროლო და განუსაზღვრელ ბატონის, ბიუროკრატიის გადმობირება და მოსყიდვა ძნელი არ არის („ვესტ. ევრ.“).

მკის, ლეწვის და ღალის აკრეფის დროსაც, მაგრამ ამას შედეგად მემამულეებთან ყოველივე კავშირის შეწყვეტა მოჰყვა. განცხრომით ცხოვრებას შეჩვეულმა მემამულეებმა ვერ აიტანეს ბოიკოტი და ბევრგან, მაგ., გრემში, ენისელში, საბუეში და კურდღელაურში დაუწყეს თხოვნა გლეხებს შესარიგებლად ..

სოფ. საბუეში, ამას წინად, ერთს თავადს მარანი გაუტეხეს და ღვინო და სხვა ავეჯეულობა წაიღეს. რადგანაც ამ მემამულეს ბოიკოტი ჰქონია გამოცხადებული, ამიტომ თავადიშვილს და ნათესავებს ერთად უმუშავნიათ და ავეჯიც იმისთვის ჩამოუტანიათ მარანში. მარნის პატრონი სოფელს სწამებდა ქურდობას. სოფელმა, რადგან ამ საქმეში ბრალი არ ედო, თვითონ თავს იდვა ქურდების აღმოჩენა, მიჰყვა საქმეს და გამოარკვია, რომ მარნის გატეხაში ბრალი ედებათ, ე. ი. მონაწილეობა მიუღიათ მარანის პატრონის ნათესავ თავადის ყმაწვილებს.

კარგა ხანია, ს. კურდღელაურში სოფლის პაწია ბიუროკრატებს ხალხმა ზურგი შეაქცია, ამოირჩია ათის და ასის თავები და ამათ მიანდო სოფლის საქმეების მართვა. გაიმართეს თავიანთთვის სასამართლო. ვისაც საჩივლელი აქვს მათთან მიდიან.

ამ ბოლოს დროს ქურდობამ ისევ იჩინა თავი. წინადაც ხომ, როცა ძლიერ გახშირდა, ხალხმა თვით იდვა თავს მისი ალაგმა, ქურდების გასამართლება. ამან სასურველი შედეგი მოიტანა. ქურდობა თითქმის სულ მოისპო, მაგრამ ამჟამად ისევ თავი იჩინა.

2 ოქტომბერს, ღამე ძროხები დაეპარათ. ხალხმა თვით აღმოაჩინა ქურდები. დაკლულ საქონლის ტყავი და თოკი აჰკიდა ზურგზე ქურდებს და ისე შემოატარა მთელი სოფელი. მერე სასოფლოზე მიიყვანა. გაბრაზებულმა ხალხმა სარჩობელა გააკეთა, ჩააყოფინა თავები ქურდებს და ყველაფერი აამბობინა და ამხანაგებიც დაასახელებინა. მერე დააჯარიმეს და მათი ოჯახები დაარბიეს. ეს ამბავი მაზრის უფროსისთვის შეეტყობინებინათ. მაშინვე კაზაკებით ჩამოვიდა, მაგრამ განსამართლებას ვეღარ მოასწრეს, ხალხი წავიდ-წამოვიდა და ბოროტ-მოქმედნი კი დაპატიმრებული დახვდა.

თელავის სამოქალაქო სასწავლებლის შეგირდებს უკვე დაუკმაყოფილეს ორი მუხლი თავიანთ მოთხოვნილებისა ე. ი. სასწავლებლის გარეშე შეგირდებზე თვალ-ყურის ჭერის მოსპობა და ქართულ-სომხურ გაკვეთილების მომატება. მხოლოდ დანარჩენ მოთხოვნილებებს ნამესტნიკის საბჭო განიხილავსო. მზრუნველის ასეთი განკარგულება უკვე გამოუცხადა სასწავლებლის ზედამხედველმა შეგირდების მშობლებს. შეგირდებმა სწავლა განაახლეს.

სასულიერო სასწავლებელში კი სწავლა ჯერ ისევ შეწყვეტილია. მოსწავლეთ გამოუცხადეს სასწავლებლის მთავრობას, რომ თუ ბერძნულსა და სლავიანურ ენებს, წირვა-ლოცვაზე სიარულს და სასწავლებლის გარეშე თვალ-ყურის ჭერას ახლავე არ მოსპობთ, სწავლას არ დავიწყებთო. გაფიცვის გამო სასწავლებლის ზედამხედველი ტფილისში იმყოფება გაფიცვის საქმეზე, ხოლო მოწაფეთა მომეტებული ნაწილი უკვე სახლებში წავიდ-წამოვიდა.

4 ოქტომბერს თელავში კრება მოახდინეს მაზრის საბჭოს წარმომადგენლებისა ერობის შემოღების შესახებ. სხვათა შორის კრებამ დაადგინა: მოვისმინეთ რა ის კორესპონდენცია, რომელიც იყო დაბეჭდილი „ნოვოე ობოზრენიე"-ს 203 №-ში და ვცანით-რა, იგი სიტყვა-სიტყვით სიმართლეს მოკლებულად ერთხმად ვადგენთ, გამოვუცხადოთ ზიზღი იმ წერილის დამწერს, და ეთხოვოს გაზეთის რედაქციას წერილის ავტორის დასახელება, ხოლო, თუ რედაქციამ ეს არ ისურვა, მაშინ პასუხის-გებაში მიეცეს თვით რედაქტორიო.

ინ—ო.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 12 ოქტომბერი. სახელმწიფო საბჭოში შეტანილია წინადადება, რომ საბჭოს კრებებზე დაესწრნენ ხოლმე პრესსის წარმომადგენელნიც, როგორც ეს განზრახულია სახელმწიფო სათათბიროში.

მინისტრთა კაბინეტის დაარსების შესახებ 15 ოქტომბერს გამოაქვეყნებენ.

ის ხმები, ვითომ 6 აგვისტოს დებულებას სახელმწიფო სათათბიროს შესახებ ხელ-ახლა განიხილავენო, ცოტა არ იყოს მართლდება. განზრახულია შეამცირონ ცენზი მათთვის, ვინც სადგომების გადასახადებს იხდის, და სადგილ-მამულო ცენზი.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

12 ოქტომბერი

პეტერბურგი, 11 ოქტომბერი. დამტკიცებულ იქმნა წესდება პოლონეთის სამეფოს მიერ სახელმწიფო სათათბიროში წევრთა არჩევნების შესახებ. უნდა ამოირჩიოს ვარშავის გუბერნიამ: ქ. ვარშავამ—2, სხვა ქალაქებმა და მაზრებმა—5. კალიშისამ—3. კოლეცკისამ—3, ლომჟისამ—2, ლიუბლინისამ—5, ქალაქმა ლოძიმ—1, პეტროვსკისამ—5, პოლოცკისამ—2, რადომისამ—3, სუვალკისამ—3, სედლეცისამ—3. სულ 36 კაცი, აქედან სამ კაცს არჩევს ქალაქები. საგუბერნიო ამომრჩეველთა რაოდენობა: ვარშავის გუბერნიაში—180, კალიშისაში—60, ლომჟასაში—40, ლიუბლინისაში—100, პეტროკოვისაში—100, პლოცკისაში—40, რადომისაში—60, სუვალკისაში—40 და სედლეცისაში—61.

სახელმწიფო უმაღლესს მთავრობის წარმომადგენელთან აუდიენციის დროს, კიევის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა დობრინინმა განცხადება შეიტანა სახელმწიფო საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ, საჭიროა, რომ ამ საბჭოში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადო მოღვაწენი და მეცნიერნიო.

უმართებულესის სენატის საკასაციო დეპარტამენტმა განიხილა-რა საქმე პოდპორუჩიკის ტარდოვისა, რომელსაც სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის „Впередъ"-ის მოწოდებათა გავრცელება ბრალდებოდა და რომელსაც პალატამ ერთი წლით დაპატიმრება მიუსაჯა—ეს სასჯელი ექვსი თვით დატუსაღებით შეუცვალა.

ვილენის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი დემჩინსკი სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის ობერ პროკურორად დანიშნა.

ბორისოვი, 11 ოქტომბერი. მოსკოვ-ბრესტის რკინის გზის გაფიცვის გამო, მატარებლები მარტო სმოლენსკამდე ადიან. ეს მეორე დღეა ვიაზმიდან მოსკოვის ფოსტა და პეტერბურგის გაზეთები არ მოსულა.

პეტერბურგი, 11 ოქტომბერი. ფინანსთა მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა სახელმწიფო საბჭოს წინაშე სიმშილობისაგან დაზარალებულ ვორონეჟისა, ორლოვისა, პენზენისა, რიაზანისა, სარატოვისა, სიმბირსკისა და ტულის გუბერნიის გლეხებს, 1906 წლის 1 იანვრიდან შეუმცირდეთ გამოსასყიდი გადასახადები წელიწადში 10,942,000 მანათით. ეს ზომა დასაწყისია იმ შეღავათებისა, რომლებიც შემდეგში სოფლის მცხოვრებთ უნდა მიენიჭოთ.

ტავასტგუსი, 11 ოქტ. ღამე, 10 ოქტომბერს, ვიღაც ბოროტ-გამზრახველებმა მართლ-მადიდებლების ეკლესია გასტეხეს და სხვადასხვა ძვირფასი ნივთები წაიღეს.

დონის როსტოვი, 11 ოქტ. კომერციულმა კლუბმა შესწირა 5,000 მანათი თავად ტრუბეცკოის სახელობაზე თავისუფალ უნივერსიტეტის მოსაწყობად.

ყაზანი, 11 ოქტ. სამხატვრო სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა ეს სკოლა დროებით დაკეტოს.

მოსკოვი, 11 ოქტ. ნიკოლაევის გზით დღეს მოსკოვში მოვიდა ორი სახალხო მატარებელი, ჩქარი და კურიერის მატარებლები ტვერამდინ მივიდნენ და იქ დარჩნენ, მგზავრები ზოგი იქ დარჩა, ზოგიც პეტერბურგს დაბრუნდა. კურსკის ვაგზალზე 70 მგზავრი რკინის გზის ხარჯზე არიან.

ზოგიერთ აფთიაქების ფარმაცევტები თუმცა დააკმაყოფილეს, მაინც გაფიცულები არიან, რადგან დანარჩენ ამხანაგებს მხარს უჭერენ.

დღეს რკინის გზაზე გაფიცულთა ერთი ნაწილი ფოსტის უმთავრეს სადგურთან შეიყარა და უნდოდა პოჩტამტის მოსამსახურეებისთვის მუშაობაზე ხელი აეღებინებინა, მაგრამ კაზაკებმა გაჰფანტეს.

ქალაქის გამგეობა სთხოვს გრადონაჩალნიკს დაიცვას წყლის მილები და საყასბოები. მოსკოვი დუღავს.

გზათა მინისტრმა ხილკოვმა, რომელიც მემანქანეებს ურჩევდა მუშაობა დაეწყოთ, სთქვა: მე ძველი მემანქანე ვარ და თუმცა 60 წლისა შევსრულდი, მაინც, მზადა ვარ ორთქლ-მავალზე დავდგე და დარწმუნებული ვარ, სხვებიც მამყვებიანო. მემანქანეებმა უპასუხეს: ამის წინააღმდეგნი არა ვართ, რომ თქვენ ორთქლმავალით გაისეირნოთ, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს მუშაობას შევუდგეთ, სანამ მთელის რუსეთის პოლიტიკურ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებენო.

მოსკოვში რძე აღარ იშოვება, ხორცისა და ერბოს ფასებმა ძალიან აიწია.

სმოლენსკი, 11 ოქტომბერი. გუბერნატორმა რკინის გზის მოსამსახურეთ ნება დართო, შეიყარნენ სახალხო სახლში მარტო ეკონომიურ საჭიროებათა გასასახილველად. მუშები შეიყარნენ სადგურზე და დაადგინეს, ამ პირობებით კრება არ გამართონ და რკინის გზების მოსამსახურეთა დელეგატების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს მიემხრონ.

რიგა, 11 ოქტ. შუადღის პირველ საათზე, შუაგულ ქალაქში, კაზარმების პირდაპირ მოჰკლეს ეტლით მიმავალი რიგა-ორლოვის რკინის გზის არტელშჩიკი და გაიტაცეს 26 ათასი მანათი. მოკლულს ჯიბეში უპოვნეს 10,572 მან. მკვლელები მიიმალნენ. მეეტლე და ცხენი დაჭრილები არიან.

იალტა, 11 ოქტომბერი. საერობო კრებაზე მოვიდნენ მუშები ერთმა მათგანმა წარმოსთქვა პოლიტიკური სიტყვა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. დემონსტრანტებმა უგალობეს საუკუნო სახსენებელი თავ. ტრუბეცკოის და მშვიდობიანად დაიშალნენ.

მოსკოვი, 11 ოქტ მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის გზის გაფიცვა გავრცელდა მთელ მოსკოვ-კიევისა და ახლო-მახლო მდებარე გზებზე. მოსკოვ-ვინდავო-რიბინსკის გზაზე ჩქარი მატარებელი გუშინ საღამოს მივიდა მხოლოდ სადგურ „პოდმოსკოვნიამდი". მგზავრები ფეხით მოვიდნენ მოსკოვში. მოსკოვ-კიევის გზაზე მატარებელს ელის 2000 მგზავრზე მეტი—მომეტებული წილი ღარიბებია, რომელთაც გზისგან ეძლევა თითოს 50 კაპ. დღე-ღამეში, პირველისა და მეორე კლასის მგზავრებს თითო მანეთი.

უნივერსიტეტის ახალი რექტორი მანუილოვი პირდაპირ წინააღუდგა უნივერსიტეტების პოლიტიკურ იარაღათ გახდომას. მისი აზრით უნივერსიტეტმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ახლანდელ მოძრაობაში მარტო ლექციების კითხვით იმ საკითხებზე, რომელიც აღელვებს რუსეთის საზოგადოებას, და ცოდნის შეძენის მოსურნეთათვის აუდიტორიების გახსნით.

პორხოვი, 11 ოქტ. სოფელ პოპუხში, გადასახადის გაუსტუმრებლობის გამო, საქონლის აწერის დროს, გლეხებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ვოლოსტის მამასახლისს ივანოვს და მასთან მყოფ შვიდ მოხელეს.

პეტერბურგი, 11 ოქტ. საღამოს გრაფ ვიტტემ მიიღო რკინის გზის მოსამსახურეთა კრების წარმომადგენლების დეპუტაცია და გამოსთქვა იმედი, რომ შესაძლებელია დააკმაყოფილონ აუცილებელი ეკონომიური მოთხოვნილებანი მუშებისა და აგრეთვე ახლო მომავალში განხორციელდება კრებისა და ბეჭდვის თავისუფლება. 10 ოქტომბერს წარუდგა ხელმწიფეს კიევის ქალაქის გამგეობის ხმოსანი.

პეტერბურგი, „ნოვოსტი" იუწყება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გადასწყვიტა ნება დართოს დროებით გამოცემებს, როგორც ცენზურიანს, ისე უცენზუროს, თავისუფლად გამოაქვეყნოს და განსაჯოს ყოველგვარი ცნობები, რომელიც შეეხება საარჩევნო აგიტაციას და სათათბიროს მომავალ მოქმედებას და აგრეთვე დააფასოს ამომრჩეველთა ან სათათბიროს წევრთა კანდიდატები. ამგვარ საკითხებს არ უნდა ეხებოდეს 140 და 156-ე სტატები საცენზურო წესდებისა, რომლის ძალითაც შინაგან საქმეთა მინისტრს ნება ეძლევა აუკრძალოს შეხება ამა თუ იმ საკითხისა მწერლობაში. განსაკუთრებული ცნობებისა და მსჯელობისათვის არჩევნებზე, ამორჩეულ კაცებსა და აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროზე პერიოდული გამოცემანი არ უნდა დაისაჯოს ადმინისტრაციისაგან, მხოლოდ დანაშაულობისათვის სამართალში იქნებიან მიცემულნი.

პეტერბურგი, გაფიცვა მოედვა ვარშავისა და ბალტიის რკინის გზებს. მატარებლები დღეს არ გამოსულან პეტერბურგიდან. ორსავე სადგურზე ჯარებია.

მოსკოვი, 11 ოქტ. ბრბო შევარდა ფოსტაში, ჩინოვნიკები მათის მოთხოვნილებით დაიშალნენ. ბრბო სალდათებმა გაფანტა. შემდეგ ბრბო სამართველო ტელეგრაფის შენობაში შევიდა, მაგრამ სალდათებმა იქიდანაც გარეკა. ბრესტის გზით მოსკოვში მოვიდა სახალხო მატარებელი, იმის მიუხედავად, რომ მემანქანეს სიკვდილს ემუქრებოდნენ. ბრესტის სადგურზე ახლად გაწვეულმა ჯარის-კაცებმა ძალზე სცემეს აგიტატორებს. ზოგიერთი აგიტატორი ნახევრად მკვდარი საავადმყოფოში გაგზავნეს, დანარჩენები გააძევეს სადგურიდან.

ნევის სანთლის ქარხანაში მივიდა მრავალ რიცხოვანი ბრბო გაფიცულებისა და მოითხოვა მუშების შეწყვეტა. ქარხნის მუშებმა ჩხუბი დაუწყეს და მუშაობა არ მიატოვეს.

სიმბირსკი, 11 ოქტ გაფიცვის გამო რკინის გზის მოძრაობა შეწყვეტილია. გაზეთი და ფოსტა აღარ მოდის.

ეკატერინოსლავი, 11 ოქტ. მაღაზიები დაკეტილია, ქუჩები ცარიელი, გაფიცულნი სცდილობენ მუქარით შეაწყვეტინონ მუშაობა ტელეგრაფისტებს. ტელეგრაფის ზოგიერთი მავთული გაფუჭებულია. დაჭრილია ტელეგრაფის მოხელე.

ცარიცინი 12 ოქტ. უკვე ერთი კვირაა, სამხრეთ-აღმოსავლეთის გზაზე მატარებლის მიმოსვლა შეწყდა, არც მოსკოვისა და არც პეტერბურგის ფოსტა არ მოდის.

ლონდონი, 11 ოქტ. რუსეთში, რკინის გზებზე გაფიცვამ დააფიქრა ლონდონის ვაჭრები. რუსეთში ბევრი საქონელია, რომელიც ინგლისსა და ამერიკას უნდა გაიგზავნოს და რომლის გაზიდვა შეუძლებელია. რუსეთის ვაჭრები საქონელს აზღვევენ.

შანხაი, 11 ოქტ. გუშინ დაიწყო ჩინეთის ჯარის ალლუმები. უცხოელებზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ჯარის შესამჩნევი გაუმჯობესება. იმათი სიტყვით, ამ ხუთი წლის განმავლობაში, პროგრესი ამ მხრივ გასაკვირველია.

კურსკი 12 ოქტომბერ. რეალური სასწავლებელი დახურულია.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილით 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 6 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 2 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (12 ს. 28 წ).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი,

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა'. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

ქართველი ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში
მიიღებენ ქალების და ბავშვების კაბებს შესაკერად იქვე მიიღებენ თეთრეულს შესაკერად და ნიშნების ამოკერვას.
ვერა, მოსკოვის ქუჩა № 4 (5—3)

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

როიალები, ფისგარმონები, პიანინო,
გიტარები, გრამოფონები, ფლეიტები, სიმები,
კლარნეტები და სხ. და სხ.
ყველა ამ სამუსიკო იარაღების შეძენა შეიძლება ფასების ნაწილ-ნაწილად გადახდითაც.
მსურველთ **პრეისკურანტები მუქთად ეგზავნებათ**
კავკასიის ცენტრალური საწყობი სამუსიკო საკრავებისა
ბ. მ. მირიმანიანისა.
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.
Кавказское ДЕПО музыкальныхъ инструментовъ
Б. М. МИРИМАНІАНЪ.
Тифлисъ. Дворцовая, д. груз. дворянства.
(25—5.—6)

შემთხვევით
და შეღავათიანის პირობებით იყიდება დიდკაპაური აგარაკი,
ქუთაისიდან ორის ვერსის მანძილზე, სახლი 6 ოთახიანია, ქვისა. ბაღი 800 საჟ. ვენახი 600 საჟ. მიწის ტყე — ქორაფი — 2 დესეტინა. მთელი მამული სულ 24 დესეტინაა. პირობების შეტყობა შეიძლება ქუთაისში [illegible] ქუჩა, სახლი თავ. ბაგრატიონისა. ტფილისში — მამულის პატრონთან, ავჭალის ქუჩა № 82. (5—4)

Денисовский

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოლობრინი" მ. ვ. ლებედევისა
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.
იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.
(0—5—11).

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)
კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მომზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.
სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი,** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).
სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.
პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.
ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.
უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.
(24—22)

საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
სურათებით
წელიწადი მეორე ✦ **მცირე-წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის** ✦ წელიწადი მეორე
გამოვა თვეში ორჯერ სამ წიგნად: ორი მცირე-წლოვანთათვის და ერთი—მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.
ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი მწერლობის საუკეთესო მოღვაწენი
წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა — წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან., ნახევარის წლით: ერთად—2 მან. 50 კაპ.; ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 40 კაპ. ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის — 15 კ., მოზრდილთათვის—25 კაპ. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.
ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში და წ. კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში. აგრეთვე ქალაქ გარედ ჩვენს აგენტებთან: **ბაქოში:** ანეტა ყვანიასთან და ნ. დეკანოზიშვილთან. **ქუთაისში:** კოლხიდის საზოგადოებაში, კნ. ბარბარე წერეთლისას და ანნა დადეშქელიანთან. **ბათომში:** მარიამ ელიავასთან, კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და იასე რაპაველთან. **სოხუმში:** კნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო თავდგირიძესთან. **ახალციხეში:** სვიმონ ხვთისავარაშვილთან. **გორში:** თამარა და ნინო ლომაურებთან და კნ. ელენე ერისთავისასთან, **ფოთში:** იაკობ ფანცხავასთან და თავ. ვლადიმერ სვიმონის ძე აბაშიძესთან. **ჭიათურაში:** ირაკლი დეკანოზიშვილთან. **საჩხერეში:** ყარამან ჩხეიძესთან. **ერევანში:** მარიამ ფავლენოვთან.
რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.
✦ დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. ✦
ის წერილები, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული სურვილი ჰონორარის მიღებისა, უსასყიდლოდ იქმნება ჩათვლილი.
პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ".
რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურიასი.**
გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 12 Октября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.